პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 116 (11120) | ხუთშაბათი, 22 მაისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი (1-ლი გვერდი).

ცნობა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მოწვევის შესახებ (1-ლი გვერდი).

ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური გაზაფხული (1-ლი გვერდი).

ა. დარჯანია. — სანიმუშოდ მოვაწყოთ საძოვრებზე პირუტყვის გადარეკვა (1-ლი გვერდი).

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის (მე-2 გვერდი).

საგაზაფხულო სამუშაოების მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულება უხვი მოსავლის საწინდარია (მე-3 გვერდი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის. — ს. ჭილაგანიძე. — ქიმიური მრეწველობის ამოცანები საერთო-სახალხო [illegible]

საქართველოს კურორტებზე. — შ. ჭალაგანიძე. — წყალტუბო (მე-3 გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. გ. ქვრივიშვილი. — ბულგარეთის სოფელი დღეს. აღმავლობის გზით (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები. (მე-4 გვერდი).

გაანვამტკიცოთ საკოლმეურნეო შრომის დისციპლინა

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე დიდმა ლენინმა მოგვცა ბრძნული მითითება იმის შესახებ, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება შეადგენს ახალი საზოგადოების ძირითად ამოცანას, რომლის გადაუჭრელად შეუძლებელია კომუნისტური საზოგადოების აშენება. ვ. ი. ლენინის ეს მითითება წარმატებით ხორციელდება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

პარტიის XX ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე განუხრელად იზრდება კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერება. უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლეულის, ყურძნის, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსოვანთა ნაყოფისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება. გარკვეული წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობაში. რესპუბლიკაში 1957 წელს წინა წელთან შედარებით მიღებულია 15.600 ტონით მეტი რძე. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 1.002 კილოგრამი რძე, რაც ორჯერ და უფრო მეტად აღემატება 1953 წლის მაჩვენებლებს.

კოლმეურნეობებში მოსავლიანობის ზრდასთან ერთად საგრძნობლად იმატა შემოსავალმა. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 12.700.000 მანეთს მიაღწია. აქ კოლმეურნეებს თვითეულ შრომადღეზე ერგოთ ფულად 22 მანეთი, ხოლო ბათუმის რაიონის სოფელ წინსვლის კოლმეურნეობაში თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეები 34 მანეთს იღებენ. ასეთ კოლმეურნეობათა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია.

ეს წარმატება საკოლმეურნეო წარმოების სწორი დაგეგმვის, ტექნიკის სრულად გამოყენებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების შედეგია.

სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში კოლმეურნეობებზე გადაცემული მძლავრი ტექნიკის სრულად გამოყენებასთან ერთად მთავარია კოლმეურნეობაში შრომის სწორი ორგანიზაცია, აღრიცხვა, შრომის მტკიცე დისციპლინა. მაგრამ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ცუდად მუშაობენ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებზე. მაგალითად, საგარეჯოს რაიონის პატარძეულის კოლმეურნეობაში გაუპიროვნებისა და უთადარიგობის მიზეზით იკარგებოდა ბევრი სამუშაო დრო, რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას და იწვევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაგვიანებით შესრულებას. აქ შარშან დაგვიანებით ჩაატარეს ხვნა-თესვა. სიმინდის მოსავლის აღება დეკემბრამდე გააჭიანურეს. ყოველივე ამან მოსავლის დიდი დანაკარგები გამოიწვია.

რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ შრომა ვერ მოაწესრიგეს. 500 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან შარშან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი 100-ზე მეტს არ გამოუმუშავებია, ხოლო 45 კაცს კოლმეურნეობაში სულ არ უმუშავნია. ჩაშლილია აღრიცხვა. განა შეიძლება შრომის დისციპლინაზე ლაპარაკი, როცა თელავის რაიონის სოფელ წინანდლის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში „დტ-54“ მარკის ტრაქტორი, რომელსაც დ. გახუტიშვილი მართავს, მტს-იდან მიღების შემდეგ ცუდი მოვლით მხოლოდ 5 დღეს მუშაობდა და მის შემდეგ უქმად დგას?

სამწუხაროდ, ის კოლმეურნეები, რომლებიც კეთილსინდისიერად არ მუშაობენ, და ის პირები, რომლებმაც ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს კოლმეურნეობასთან, ბევრგან სარგებლობენ კოლმეურნეებისათვის დაწესებული ყველა შეღავათით. მაგალითად, გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს გ. დადიანს ყოველწლიურად შეუძლია გამოიმუშაოს 350-400 შრომადღე, ფაქტიურად კი შარშან არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. ასეა წელსაც. სამაგიეროდ ყოველდღე რაიონის ცენტრშია საკუთარი „მოსკვიჩით“ და ეძებს „კლიენტებს“, რომ ჯიბე გაისქელოს. ასეთი ფაქტები სხვა რაიონებშიც არის.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოები და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და შრომის ორგანიზაციის საკითხებზე. ამის გამო ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში ჩაშლილია აღრიცხვა და საფინანსო მეურნეობა. კოლმეურნეთა ერთი ნაწილი ზედმეტად იღებს ავანსებს, ხოლო მეორე ნაწილს, რომელიც კარგად მუშაობს, ჯერ კიდევ 1957 წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილი ფული არ მიუღია. ეს პირველ რიგში შეეხება მარნეულის, ახალქალაქის რაიონებისა და აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებს. მარტო აფხაზეთში კოლმეურნეებზე ზედმეტად ავანსად გაცემულია 22.420.000-ზე მეტი მანეთი, მაშინ როცა კოლმეურნეთა მეორე ნაწილს მიუღებელი აქვს 1957 წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი.

საკითხავია, როგორ შეიძლება გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა ვანის, ზესტაფონის, ქარელის, კასპის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა, როცა წელიწადში საშუალო გამომუშავება ერთ კოლმეურნეზე 110-140 შრომადღეს შეადგენს? პარტიის რაიონულ კომიტეტს და რაისაბჭოს აღმასკომს უნდა ახსოვდეთ, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში კოლმეურნეთა მონაწილეობის გაძლიერება ჩვენი მთავარი და ძირითადი საზრუნავია.

„პრავდის“ 1958 წლის 20 მაისის მოწინავე წერილში ნათქვამია:

„სახელმწიფო დისციპლინის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, დაკისრებული საქმისათვის თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება აუცილებელი პირობაა ახალი წარმატებებისა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში“.

საქართველოს კპ XVIII ყრილობამ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაავალა გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კოლმეურნეებს შორის, მიაღწიონ შრომის დისციპლინის განმტკიცებას კოლმეურნეობებში და ყველა კოლმეურნის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ შრომაში. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, სათანადო აღმზრდელობითი და ორგანიზაციული ზომები მივიღოთ მუქთახორებისა და ზარმაცების წინააღმდეგ, მივაღწიოთ იმას, რომ ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე აქტიურად მონაწილეობდეს საკოლმეურნეო მშენებლობაში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ახალი დიდი ამოცანებია დასახული. ამ ამოცანების წარმატებით შესრულება სასოფლო პარტიული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობებისაგან, მექანიზატორებისაგან მოითხოვს მთელი ძალები დარაზმონ სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის საბრძოლველად, ყველა საჭირო ღონისძიება განახორციელონ 1958 წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის საფუძველზე შეიძლება შეექმნათ მატერიალური დოვლათის სიუხვე. კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მკვეთრად გაუმჯობესება, შრომის დისციპლინის განმტკიცება საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობის მძლავრი ბერკეტია.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი

20 მაისს მოსკოვში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ წარმომადგენლები:

ალბანეთის შრომის პარტიისა — ამხანაგები ენვერ ხოჯა, მეჰმეტ შეხუ, სპირო კოლეკა, ჯიჩო ნგელია, ბეჰარ შტიფელა, არიფ ხასკო;

ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა — ამხანაგები ტოდორ ჟივკოვი, ანტონ იუგოვი, რაიკო დამიანოვი, პეტრე პანჩევსკი, რუსი ხრისტოზოვი, კარლო ლუკანოვი;

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა — ამხანაგები იანოშ კადარი, ანტალ პპრო, გეზა რეგეხი, არპად კიში;

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა — ამხანაგები ვალტერ ულბრიხტი, ოტო გროტეგოლი, ჰენრიხ რაუ, ვილი შტოფი, ბრუნო ლაიშნერი, ოტო ვინცერი;

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა — ამხანაგები ვლადისლავ გომულკა, იოზეფ ცირანკევიჩი, სტეფან ენდრიხოვსკი, პეტრე იაროშევიჩი;

რუმინეთის მუშათა პარტიისა — ამხანაგები გეორგე გეორგიუ-დეჟი, კივუ სტოიკა, ემილ ბოდნარაშუ, ლეონტინ სელეჟანი, ალექსანდრუ ბირლადიანუ, ავრამ ბუნაჩიუ, მარინ გასტონი;

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა — ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიკოიანი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ი. ი. კუზმინი, ი. გ. კაბანოვი, მ. ვ. ხრუნიჩევი;

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა —ამხანაგები ანტონინ ნოვოტნი, ვილიამ შიროკი, იარომირ დოლანსკი, ოტაკარ შიმუნეკი, ბოგუმირ ლომსკი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე წარმომადგენლები:

ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა — ამხანაგები ნგუენ ზუი ჩინი, ნგუენ ვან ჩანი, დანგ ვიეტ ძაუ;

ჩინეთის კომუნისტური პარტიისა — ამხანაგები ჩენ იუნი, ლი ფუ-ჩუნი, ე ძი-ჯუანი;

კორეის შრომის პარტიისა — ამხანაგები კიმ ირი, ტენ ირ ლენი, ლი დენ ოკი;

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა — ამხანაგები დაშიინ დამბა, ლუბსანცერენგაინ ცენდე.

ცნობა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მოწვევის შესახებ

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მთავრობებმა გადაწყვიტეს მოიწვიონ 1958 წლის 24 მაისს ქალაქ მოსკოვში ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი მთავრობათა მეთაურების დონეზე საგარეო საქმეთა მინისტრებისა და შეიარაღებული ძალების მინისტრების მონაწილეობით.

სანიმუშოდ მოვაწყოთ საძოვრებზე პირუტყვის გადარეკვა

ჩვენს რესპუბლიკაში იმის დიდი შესაძლებლობაა, რომ უფრო ავამაღლოთ პირუტყვის პროდუქტიულობა. ამ მხრივ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს მომთაბარე მეცხოველეობისათვის სათანადო პირობების შექმნა, რადგან ჩვენი პირუტყვი ძირითადად საზამთრო-საზაფხულო საძოვრებზე იმყოფება. გადარეკვის პერიოდში პირუტყვი დაახლოებით 15-30 დღე და ზოგჯერ მეტიც, გზაშია, ამიტომ საჭიროა გადასარეკი ტრასების (გზების), საძოვრების, მოსაბრუნებელი (დასასვენებელი) ადგილების მოწყობა, რწყულების მოწესრიგება. მიუხედავად ამისა, მთელმა რიგმა რაიონებმა (სიღნაღის, კაჭრეთის, საგარეჯოს, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს, წალკის) გადახნეს სახელმწიფოს მიერ პირუტყვისათვის გამოყოფილი გადასარეკი ტრასები, რის შედეგად გადარეკვის პერიოდში მომთაბარე მეცხოველეობას სერიოზული ზიანი მოსდის. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია.

უკვე რამდენიმე ათეული ათასი ცხვარი დაიძრა საზაფხულო საძოვრებისაკენ (თრიალეთის, კავკასიონის, დაღესტნის, სომხეთის საძოვრების მასივებზე). გადარეკვის ორგანიზებულად და სანიმუშოდ ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოყოფილია ზოოვეტსპეციალისტთა ბრიგადები, ტრასაზე შექმნილია დროებითი ვეტშემმოწმებელი პუნქტები. ამოცანა ის არის, რომ ცხვრის მთელი სულადობა და რამატი მთლიანად და უდანაკარგოდ გადავრეკოთ საზაფხულო საძოვრებზე.

ზოოვეტსპეციალისტების მოვალეობაა მაღალხარისხოვნად მოაწყონ ცხვრის მთლიანი სულადობის გაბანება ჰექსაქლორან-კრეოლინის ხსნარებში პირობლაზმოზურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად (გაბანება აუცილებელია ორჯერ მაინც), ამავე დროს საჭიროა პირუტყვი გადარეკვამდე დაამუშაონ პროფილაქტიკურად. ტრასებზე შექმნილმა ვეტშემმოწმებელმა პუნქტებმა უნდა მოახდინონ გამვლელი პირუტყვის მთლიანი სულადობის შემოწმება და საჭირო შემთხვევებში აღმოუჩინონ სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარება.

კოლმეურნეობათა გამგეობებმა გადარეკვის წინ უნდა მოაწყონ ზოოვეტერინარული შემოწმება, გამოჰყონ და ადგილზე დატოვონ სუსტი, ჯანდაგი და კოჭლი ცხოველები, შეუქმნან მათ პირობები გამოსაჯანსაღებლად. გარდა ამისა გამოჰყონ სპეციალური ტრანსპორტი ტრასაზე დამატებითი ხაკვების მისაწოდებლად.

პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა შესაბამისად, მოსახლეობის (მუშების, საწარმოების, სანატორიუმების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებების) რძითა და რძის პროდუქტებით მომარაგების მიზნით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნაწილი (მერძეობის ფერმები) რჩება სტაციონარულ პირობებში. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავთვალისწინოთ, რომ მომთაბარეობას მიჩვეული პირუტყვი შეეგუოს ბარში ყოფნას და ამავე დროს თავიდან ავაცილოთ დაავადება პიროპლაზმოზით. ამიტომ ყველა ფერმასთან უნდა მოეწყოს მწვანე კონვეიერი, ყოველდღიური მოციონი სულ მცირე 4 საათი დღეში და სხვ.

აუცილებელია გავაუმჯობესოთ მწყემსების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. საჭიროა ცეკავშირმა ტრასაზე და საძოვრებზე მოაწყოს მოძრავი სავაჭრო წერტი ავტომანქანით. მწყემსები უნდა უზრუნველვყოთ მთაში მოძრავი საცხოვრებელი ბინებით, მოვამარაგოთ ახალი ჟურნალ-გაზეთებით, მოვაწყოთ რადიომიმღებები.

პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე შენახვა დიდი ეკონომიური მნიშვნელობის ღონისძიებაა. მისი განხორციელება მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

ა. დარჯანია,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტხამართველოს ვეტექიმი.

ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური გაზაფხული

ფესტივალის მეორე დღე

21 მაისს, ამიერკავკასიის ხალხთა „მუსიკალური გაზაფხულის“ მეორე დღეს, დილით რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელმწიფო კაპელამ ჯანსუღ კახიძის მხატვრული ხელმძღვანელობით. შესრულებულ იქნა ხ. სულხანიშვილის, შ. მშველიძის, ა. მაჭავარიანის, მ. დავითაშვილის და დ. ჩხეიძის ნაწარმოებები. კონცერტზე დიდი წარმატებით გამოვიდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა“ (მხატვრული ხელმძღვანელი ჯ. კახიძე). მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა ანსამბლის მიერ ბრწყინვალედ შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა („ჩელა“, „გაზაფხული“, „იმერული“, „ეუფუნა წვიმა მოვიდა“ და „ხასანბეგურა“).

მაყურებელმა გულთბილად მიიღო ორჯონიკიძის რაიონის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის გამოსვლა (მხატვრული ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. აბაშიძე).

კონცერტის დამთავრების შემდეგ „მუსიკალური გაზაფხულის“ მონაწილეებმა და სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები.

იმავე საღამოს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

ორჯონიკიძის რაიონის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის გამოსვლა (მხატვრული ხელმძღვანელი ი. აბაშიძე).

მუსიკა, რომელმაც დიდი სიხარული განმაცდევინა

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე ქართულმა მუსიკამ მოახდინა, მეტად დიდია. „მუსიკალური გაზაფხულის“ დღეებში საშუალება მეძლევა კიდევ უფრო ახლოს გავეცნო ქართველი ხალხის უძველეს და მდიდარ მუსიკალურ კულტურას.

როგორც საეკლესიო მუსიკის სპეციალისტმა, ამას წინათ დიდი სიხარულით შევიტყე უძველესი ქართული საგალობლების სანოტო ნიშნების ამოხსნა.

გუშინ დილით დავესწარი ქართული ხალხური მუსიკის კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სახელმწიფო კაპელა, ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა“, სიმღერისა და ცეკვის ერთ-ერთი თვითმოქმედი ანსამბლი. შეუძლებელია სიტყვით გამოიხატოს ის დიდი სიამოვნება, რომელიც მე განვიცადე. გუშინდელმა კონცერტმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ბედნიერი ვარ ქართველი კომპოზიტორები, ასეთი მდიდარი და დაუშრეტელი ხალხური მუსიკალური სათავე რომ აქვთ. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი იმავე საღამოს გამართულ სიმფონიურ კონცერტზე.

ოთარ თაქთაქიშვილის მეორე სიმფონია ავტორის დიდ ნიჭსა და ოსტატობას მოწმობს. ო. თაქთაქიშვილი, ჩემი აზრით, უაღრესად საინტერესო და დიდი ხმის კომპოზიტორია.

ა. ბალანჩივაძისა და რ. ლაღიძის სიმფონიური სურათები „ზღვა“ და „საჭადაო“ ხალხური საწყისებითა და მაღალი პროფესიონალიზმით იქცევენ ყურადღებას.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ახალგაზრდა კომპოზიტორის ბ. კვერნაძის დიდი წარმატება. მისი სავიოლინო კონცერტი ორკესტრთან ერთად, ჩემი აზრით, ამ კომპოზიტორის კარგ მომავალზე მეტყველებს.

მე უეჭველად წავიღებ რუმინეთში ქართული მუსიკის ფირფიტებს და მოვაწყობ მათ გადაცემას ბუქარესტის რადიოთი.

„მუსიკალური გაზაფხულის“ მონაწილენი და სტუმრები გუშინ მამადავითზე ავედით და კარგა ხანს გადავცქეროდით თბილისს — ათასხუთასი წლის თქვენს მშვენიერ დედაქალაქს. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა გულითადი სალამი გადავცე ამ ლამაზ ქალაქის მცხოვრებთ რუმინელ კომპოზიტორთა და ბუქარესტელთა სახელით.

ჯ. კონსტანტინესკუ,
რუმინელი კომპოზიტორი.

„ოქროს საწმისზე“ უფრო ძვირფასი

მე ჩამოვედი ჩეხოსლოვაკიიდან ჩვენგან მანძილით დაშორებულ, მაგრამ მახლობელ და საყვარელ მხარეში — კავკასიაში, რათა ჩეხ კომპოზიტორთა სახელით სხვა მოძმე ხალხთა წარმომადგენლებთან ერთად მცირედი წვლილი შევიტანო ჩვენი ხალხების კულტურული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ადამიანთა დასაახლოებლად მსოფლიოში არსებობს მშვენიერი ენა—მუსიკა, რომელსაც თარგმნა არ სჭირდება. ამ ენის სიდიადეში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი „ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური გაზაფხულის“ კონცერტებზე ბაქოში, ერევანსა და თბილისში.

მე მოვისმინე აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ კომპოზიტორთა მრავალი ნაწარმოები და განმაცვიფრა მათმა ნიჭიერებამ და ოსტატობამ. განსაკუთრებით მინდა შევჩერდე სიმფონიურ მუსიკაზე. აზერბაიჯანელი კომპოზიტორების ფ. ამიროვისა და ე. ნაზიროვას საფორტეპიანო კონცერტი არაბულ თემებზე, სომეხი კომპოზიტორების კ. ორბელიანის, ე. მირზოიანის, ა. ბაბაჯანიას ნაწარმოებები და ქართველების ო. თაქთაქიშვილის მეორე სიმფონია და ა. ბალანჩივაძის სიმფონიური სურათი „ზღვა“ გამოირჩევა ფაქიზი ლირიზმითა და მუსიკალური ფორმის სრულყოფით.

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ დავესწარი ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკის ამ დიდ დღესასწაულს. ვგრძნობ, თითქოს უფრო ავმაღლდი და „ოქროს საწმისზე“ რაღაც უფრო ძვირფასი მიმაქვს თან.

ჩვენში, ჩეხოსლოვაკიაში ყოველ წელს იმართება „პრაღის გაზაფხული“. კარგი იქნებოდა, თუ თქვენი და ჩვენი „გაზაფხული“ როდისმე გამოემზურებოდნენ ერთმანეთს.

ვაცლავ ტროკიანი,
ჩეხოსლოვაკიელი კომპოზიტორი.

ჟურნალი „დრუჟბა ნაროდოვ“

ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალს „დრუჟბა ნაროდოვს“ სცემს სსრ კავშირის მწერალთა კავშირი. ჟურნალი მკითხველებს აცნობს საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მწერალთა ორგანიზაციების ცხოვრებას. თვალსაჩინო რუს ლიტერატორებთან ერთად ჟურნალში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერლები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები.

ჟურნალში გამოქვეყნდა ფართოდ ცნობილი რომანები: მიხ. სტელმახისა „ადამიანის სისხლი წყალი როდია“, ა. მუხტარისა „დები“, ბ. ბროვკანი „როცა მდინარენი ერთდებიან“.

წლის მეორე ნახევარში ჟურნალში დაიბეჭდება ახალი რომანები: მიხ. სტელმახისა „პური და მარილი“, მ. იბრაჰიმოვისა „წყალთა შეერთება“, მოთხრობები: მ. ბირზისი „ყველას ბაღებში ალისფრად ჩანან ვარდები“, ა. მუხტარისა „ყარაკალფაკური მოთხრობა“, ნ. უშაკოვისა „სწრაფმავალ წელთა მოთხრობა“, ვ. ლუკაშევიჩისა „შენი დობილი“, ა. ნეგოსი „ბუმბერაზთა კუნძული“; დაიბეჭდება თ. გლადკოვის, ვ. ლაცისის, კ. პაუსტოვსკის, ი. ანტონოვის, მ. აუეზოვის, ი. ბრილის, ს. ჟურახოვიჩის, ა. კახარის, პ. კოზლანიუკის, რ. სირგეს, ვ. ტენდრიაკოვისა და სხვა მწერლების ახალი მოთხრობები.

ჟურნალი გამოაქვეყნებს ნ. ასეევის, პ. ანტოკოლსკის, მ. ბაჟანის, ნ. გრიბაჩოვის, რ. გამზატოვის, მ. ისაკოვსკის, ს. კაპუტიკიანის, ა. კულეშოვის, ა. მალიშკოს, მ. რილსკის, მ. სვეტლოვის, ს. რუსტამის, ი. სმელიაკოვის, ა. სურკოვის, პ. ტიჩინის, მ. ტურსუნ-ზადეს, ს. ჩიქოვანის, გ. ემინის, ნაზიმ ჰიქმეთის, პაბლო ნერუდას ახალ პოემებს, ლექსებსა და თარგმანებს.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა მომავალი კონფერენციისთვის ჟურნალი გამოვა გადიდებული მოცულობით და ილუსტრაციებით. ჟურნალში დაიბეჭდება პროგრესული უცხოელი მწერლების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეებისა და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის მოწინავე მებრძოლების ახალი ნაწარმოებნი.

სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობისათვის ჟურნალი დაბეჭდავს სტატიებსა და მიმოხილვებს, რომლებიც ახასიათებენ მოძმე ლიტერატურათა განვითარების ძირითად პრობლემებს, მოათავსებს გამოჩენილ მწერალთა ლიტერატურულ პორტრეტებს, სადისკუსიო სტატიებს შემოქმედების პრობლემებზე.

ჟურნალს აქვს მუდმივი განყოფილებანი: „კულტურისა და ხელოვნების თემებზე“, „საზღვარგარეთ“, „ახალი სახელები“, „რესპუბლიკური ჟურნალების ფურცლებზე“, „კულტურული ცხოვრების ქრონიკა“, „ახალი თარგმანები“. ჟურნალს აქვს აგრეთვე დამატებანი: იაკუბ კოლასის თხზულებათა კრებული სამ ტომად და ე. ვილდეს თხზულებათა კრებული ხუთ ტომად.

ჟურნალზე ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებასა და სააგენტოში.

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. იგი მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგებს და ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. **მჟავანაძემ.**

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო იმ დიდ ისტორიულ ამოცანებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა დასახა მოსახლეობის მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ქიმიური მრეწველობის და განსაკუთრებით სინთეზური მასალებისა და მათ ნაკეთობათა წარმოების შემდგომი დაჩქარებული განვითარების საქმეში.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, — თქვა მომხსენებელმა, — ახალი მკაფიო ძალით გამოხატა საბჭოთა ხალხის ძირეული ინტერესები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ დასახული ღონისძიებანი უნდა მივიჩნიოთ იმ გიგანტური და მრავალმხრივი მუშაობის შემადგენელ ნაწილად, რომელსაც პარტია სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახორციელებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

ქიმიური პროდუქციის წარმოების მოკლულობით საბჭოთა კავშირს მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს. მაგრამ ქიმიური მრეწველობის წარმოების არსებული დონე და მისი განვითარების ტემპები, განსაკუთრებით სინთეზური მასალების წარმოებისა, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნებს. ჩვენს ქვეყანას კი განსაკუთრებით ხელსაყრელი შესაძლებლობები აქვს ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის. ეს თვალნათლივ დაადასტურა ახალი მასალებისა და საქონლის გამოფენამაც, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მუშაობის დღეებში მოეწყო.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული ღონისძიებანი, რომლებიც მოცემულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე, ითვალისწინებენ ქიმიური მრეწველობის სიმძლავრეთა უდიდეს ზრდას, უახლოეს წლებში ჩვენს ქვეყანაში ბევრი ახალი საწარმოს შექმნას, რომლებიც გამოუშვებენ ხელოვნურ და სინთეზურ ბოჭკოს, პლასტიკურ მასებს და ნატურალური ნედლეულის სხვა მაღალხარისხოვან შემცვლელებს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ ნედლეულის ახალი დიდი დამატებითი წყაროები სახალხო მოხმარების საქონლის, განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი ქსოვილების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის.

სინთეზური მასალების მძლავრი მრეწველობის შექმნა შესაძლებლობას მოგვცემს ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გავათავისუფლოთ ამ მასალების გამოყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ამასთან უზრუნველყოფილი იქნება ისეთი თვისებების მქონე ახალ სახეობათა მასალების მიღება, რომლებიც ფუცილებლად საჭიროა უახლესი ტექნიკის რთული პრობლემების გადაჭრის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს დაავალა გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გეგმებში საჭირო კაპიტალდაბანდებანი ქიმიურ მრეწველობაში, ქიმიური ნედლეულის მდიდარი რესურსების რაც შეიძლება უფრო სრული და კომპლექსური გამოყენება, ქიმიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საცდელი სამუშაოების, აგრეთვე თეორიული კვლევის ფართო მასშტაბებით განხორციელება, სპეციალისტების, მუშათა კადრების მომზადების საქმის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და ა. შ.

გადადის რა ჩვენი რესპუბლიკა [illegible] დგომი განვითარების ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, მომხსენებელი ლაპარაკობს საქართველოს მრავალდარგოვანი სოციალისტური ინდუსტრიის დიდ ზრდაზე. მისი პროდუქცია ახლა ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. ეს არის რუსთავის ლითონი, თბილისის ლითონსაჭრელი ჩარხები, ქუთაისის ავტომობილები, ზესტაფონის ფეროშენადნობები, ბათუმის, სოხუმისა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების ქვების ნაწარმი. თუ 1913 წელს საქართველოში სულ ბევრი 200, უმთავრესად შინამრეწველური საწარმო ითვლებოდა, ამჟამად მსხვილი ქარხნებისა და ფაბრიკების რიცხვი 1.300-ს აღწევს, ხოლო სულ რესპუბლიკაში ახლა 4.300-მდე მსხვილი და წვრილი საწარმოა. საბჭოთა წყობილების პირობებში საქართველოს წიაღის სიმდიდრე მუშავდება მთელი ხალხის ინტერესებისათვის. მაგალითად, საქართველოში დიდად განვითარდა მარგანეცის, ქვანახშირისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება. შეიქმნა მსუბუქი, საფეიქრო მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები.

საქართველოს მრეწველობა შემდგომი, კიდევ უფრო სწრაფი ზრდის გზით მიდის მრეწველობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნის განხორციელების პირობებში. გარდაქმნის დაწყებიდან განვლილ ერთ წელიწადში მიღწეულია წარმოების დიდი ზრდა, სახელმწიფო გეგმები სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება.

ახალი მკვეთრი აღმავლობის გზაზეა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობაც. ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით განხორციელდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის ამ ვითარებაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები და ყველა მშრომელნი ახლა ხელს ჰკიდებენ ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ახალი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას.

ომისწინა ხუთწლედების წლებში ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა რამდენიმე ქიმიური საწარმო: ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა და სხვები. განვლილ წლებში ეს საწარმოები სისტემატურად ზრდიდნენ პროდუქციის გამოშვებას და ახლა მნიშვნელოვნად გადააჭარბეს თავიანთ საპროექტო სიმძლავრეს.

ომისშემდგომ წლებში აშენდა და ამუშავდა პლასტიკური მასების ქარხანა თბილისში და აზოტოვანი სასუქების ქარხანა რუსთავში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ქიმიური მრეწველობა საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ განვითარდა. უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ არის მოწყობილი ადგილობრივი ნედლეულის უმდიდრესი რესურსების კომპლექსური გამოყენება და მათი კომბინირება მეტალურგიასთან და ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობასთან. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში ნატრიუმის ბუნებრივი სულფატის საბადოები გვაქვს, დღემდე მოგვარებული არ არის სოდის წარმოება; მიუხედავად ბარიტის არსებული უმდიდრესი საბადოებისა, მოწყობილი არ არის ბარიუმის პრეპარატების წარმოება; მოუგვარებელია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ნარჩენი გაზების გამოყენება და ა. შ.

საქართველოს ქიმიური მრეწველობის შემდგომი დაჩქარებული განვითარება უნდა ეყრდნობოდეს ნედლეულისა და სათბობის ადგილობრივი რესურსების კომპლექსურ გამოყენებას, რაც ითვალისწინებს ქიმიის კომბინირებას ერთი მხრივ სამთო მრეწველობასთან, მეტალურგიასთან და ნავთობგადამუშავებასთან, ხოლო მეორე მხრივ სოფლის მეურნეობასთან და სატყეო მეურნეობასთან. ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას წარმოების ნარჩენების მაქსიმალური გამოყენება.

მომხსენებელი დაწვრილებით ახასიათებს საქართველოში ქიმიური ნედლეულის უმნიშვნელოვანეს წყაროებს, ამ წყაროების ბაზაზე წარმოების ახალ სახეობათა შექმნის გზებსა და მეთოდებს. იგი ლაპარაკობს მთელი რიგი არსებული საწარმოების, მათ შორის ბათუმის ავტომობილების, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის, რუსთავის აზოტოვანი სასუქებისა და სხვა ქარხნების გაფართოების საჭიროებაზე.

არსებულ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებისა და გაფართოების გზით, აგრეთვე ახალ წარმოებათა ამოქმედების გზით საქართველოს ქიმიურმა მრეწველობამ პროდუქციის გამოშვება 1965 წელს 7-ჯერ უნდა გაადიდოს 1957 წელთან შედარებით.

ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს რესპუბლიკის სამეცნიერო ორგანიზაციებსაც. სინთეზური მასალების მძლავრი მრეწველობის შექმნა მოითხოვს კვლევის შემდგომ განვითარებას, ფიზიკისა და ქიმიის თანამედროვე მიღწევების გამოყენებას, უახლესი ტექნოლოგიის შემუშავებას, სამეცნიერო ცდების დიდი მასშტაბებით დაყენებას. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტები და სხვა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, აგრეთვე საქარხნო ლაბორატორიები და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები მაქსიმალურ ღონისძიებებს უნდა ხმარობდნენ სინთეზური მასალების წარმოების განვითარებისა და გამოყენების დარგში, უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-საკვლევი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ახალი პლასტიკური მასების მიღებასთან დაკავშირებული სამუშაოები, ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და ნავთობის გაზების შემადგენლობის და თვისებების შესწავლა, ნედლეულის ადგილობრივი რესურსების ათვისების და მრეწველობაში გამოყენების საკითხების დამუშავება და ა. შ.

— ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების იმ გრანდიოზული პროგრამის განხორციელება, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა დასახა, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — საყოველთაო-სახალხო საქმე უნდა გახდეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, სამეურნეო ორგანოებს დაავალა მობილიზაცია უყონ ქიმიური მრეწველობის, მანქანათსამშენებლო წარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაკთა ღონისძიებებს ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად. მშრომელთა შორის უნდა გაჩაღდეს ქიმიური ცოდნის პროპაგანდა. საწარმოებში ფართოდ უნდა გავრცელდეს სინთეზური მასალების წარმოებისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების მოწინავე მეთოდები. ამ მიზნით საჭიროა ეწყობოდეს სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისა და კინოფილმების გამოშვება, სისტემატურად იმართებოდეს ლექციები, მოხსენებები, საუბრები, ეწყობოდეს გამოფენები, რომლებზეც ფართოდ იქნება ნაჩვენები სინთეზური მასალების ნაკეთობათა ნიმუშები.

საბჭოთა ხალხს ესმის ყველა ამ ამოცანის დიდი მნიშვნელობა. თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი ყველაფერს გააკეთებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ დასახული ისტორიული • ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის და ამით თავის ახალ წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო გამართულ კამათში შეეხნენ საქართველოს ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ორატორები კომუნისტებისა და რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მიესალმებოდნენ და იწონებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცება და მისი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

— საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელები, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ს. ჩხარტიშვილმა.** — განიხილავენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ერთსულოვნად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქიმიური მრეწველობისა და უწინარეს ყოვლისა სინთეზური მასალების და მათ ნაკეთობათა წარმოების დაჩქარებული განვითარება საყოველთაო-სახალხო ამოცანაა, გადაუდებელი საქმეა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში თბილისში შეიქმნა ქიმიური მრეწველობის ისეთი საწარმოები, როგორიც არის პლასტიკური მასების ქარხანა, ქიმიური კომბინატი, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა და სხვები. საქართველოს დედაქალაქში აღიზარდნენ კადრები, რომლებსაც შეუძლიათ გადაწყვიტონ ქიმიური მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული რთული ამოცანები. ამას მოწმობს ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტისა და მენდელეევის სახელობის სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს განყოფილებისა, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ჩვენს ქვეყანაში. ამას მოწმობს ქართველ მეცნიერ ქიმიკოსთა აქტიური მონაწილეობა კოლოიდური ქიმიის საკითხებზე მე-4 სრულიად საკავშირო კონფერენციაში, რომელიც ეს არის დამთავრდა თბილისში.

შემდეგ ამხ. ჩხარტიშვილი ლაპარაკობს თბილისის მთელ რიგ საწარმოთა ინიციატივაზე სინთეზური მასალების გამოყენებაში. მაგალითად, ავტოსარემონტო ქარხანა თავისი ძალებით ამზადებს ზოგიერთ დეტალს კაპრონის ნარჩენებისაგან და ამ დეტალებით წარმატებით ცვლის ძვირადღირებულ ლითონებს. თბილისის საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივმა შექმნა ახალი საამქრო, რომელშიც ძველი ავტოსაბურავების, ბიტუმის, აზბესტის ნარჩენებისა და სხვა იაფფასიანი ნედლეულის გამოყენების ბაზაზე ხორციელდება ჰიდროსაიზოლაციო მასალების, სახურავი ფილების, ლინოლეუმისა და სხვა ნაკეთობათა გამოშვების ათვისება.

ამასთან ერთად თბილისის ქიმიური მრეწველობის ახლანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს. თბილისის ბევრი ქარხნისა და ფაბრიკის მუშაობა ჯერ კიდევ არ ეყრდნობა ნედლეულის ადგილობრივი უმდიდრესი რესურსების კომპლექსურ გამოყენებას. საკმაოდ არ იყენებენ მაღალხარისხოვან შემცვლელებს მანქანათსამშენებლო, საფეიქრო მრეწველობაში და მრეწველობის სხვა დარგებში.

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის ნედლეულის ადგილობრივი რესურსების უკეთესად გამოყენების საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. **ნ. გომელაურმა.** იგი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოქსქიმიური საამქროს ნახევარპროდუქტებისა და გაზების, მირაბილიტის, ბარიტისა და ნედლეულის სხვა წყაროების გამოყენება ძლიერ წასწევს წინ საქართველოში სინთეზური მასალების წარმოებას. აგრეთვე საჭიროა, რომ გეოლოგებმა გააძლიერონ საქართველოში ფოსფორიტების ძიება და კვლევა; ეს შესაძლებლობას მისცემს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანას გამოუშვას სასუქები, რომლებიც აზოტთან ერთად ფოსფორსაც შეიცავენ. ასეთი კომბინირებული სასუქის გამოშვება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდას. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სამგორის ნავთობის საბადოთა ნავთობის თანამგზავრი გაზების გამოყენებას. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მცირე კაპიტალდაბანდებებით მოვაწყოთ ძვირფასი სინთეზური პროდუქტების გამოშვება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ამხ. **ნ. მუსხელიშვილმა** ილაპარაკა იმაზე, თუ რა უდიდესი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მეცნიერები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. საქართველომ, ამბობს ამხ. მუსხელიშვილი, არაერთი გამოჩენილი ქიმიკოსი მოგვცა ჯერ კიდევ რევოლუციამდელ დროს. შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ ჩვენი პირველი ნამდვილი სამეცნიერო დაწესებულების — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო გამოჩენილი ქიმიკოსი პ. მელიქიშვილი. ამჟამად რესპუბლიკას ჰყავს ქიმიკოსთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომელთა შორის ბევრია მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი, მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერები.

ამხ. მუსხელიშვილმა დააყენა საკითხი ქიმიის დარგში სამეცნიერო კადრების უფრო ფართო მომზადების შესახებ. ეს მუშაობა ძირითადად ადგილობრივ უნდა გაჩაღდეს, მაგრამ ამავე დროს საჭიროა ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხანგრძლივი ვადით იგზავნებოდეს მოსკოვში და ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ სამეცნიერო ცენტრებშიც.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორმა ამხ. **ნ. ჭიპაშვილმა** დაწვრილებით ილაპარაკა საქართველოს მძიმე ქიმიური მრეწველობის ამ პირმშოს მუშაობასა და მიღწევებზე. სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანა 8-ჯერ გავადიდოთ 1960 წელს მინერალური სასუქების გამოშვება — ქარხნის კოლექტივმა 2,5 წლით ადრე შეასრულა. საწარმოს ახალგაზრდა კოლექტივმა წარმატებით აითვისა მნიშვნელოვან სახეობათა პროდუქციის გამოშვება, დაენერგა ახალი ტექნოლოგია და ახლა განაგრძობს მინერალური სასუქების წარმოების სრულყოფას. ეხება რა ქარხნის შემდგომი განვითარების გზებს, ამხ. ჭიპაშვილი აღნიშნავს, რომ საჭიროა გაძლიერდეს საწარმოსადმი დახმარება, უმთავრესად მშენებლების, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკების მხრივ. იგი აგრეთვე საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს სთხოვს ყურადღება მიაქციონ ელექტროენერგიით ქარხნის შეუფერხებელი უზრუნველყოფის საკითხებს.

კრების მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს თბილისის პლასტიკური მასების ქარხნის მოწინავე მუშის ამხ. **დ. ჟამიერაშვილის** გამოსვლა.

— ჩვენი საწარმოს კოლექტივი, — თქვა მან, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებში ხედავს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლების გზას და თავის მხრივ აკეთებს ყოველივეს, რაც კი საჭიროა ამ გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგების განხილვის მსვლელობაში საწარმოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი.

შემდეგ ამხ. ჟამიერაშვილმა ილაპარაკა თავისი კოლექტივის შრომითის წარმატებებზე. ქარხანამ მიმდინარე წლის ოთხი თვის საწარმოო დავალებები შეასრულა და აიღო ახალი გადიდებული ვალდებულებანი. თვითონ ამხ. ჟამიერაშვილმა იკისრა ყოველდღიურად 200 პროცენტით შეასრულოს გამომუშავების ნორმები, დაეხმაროს წარმოების ახალგაზრდა მუშაკებს სპეციალობის დაუფლებაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე იმ დიდი მუშაობის შედეგად, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სხვა დაწესებულებები ეწევიან, გაიზარდნენ ქიმიკოსთა და ტექნოლოგთა შესანიშნავი კადრები. რესპუბლიკაში ქიმიის დარგის მარტო პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი 30-ზე მეტია, ხოლო ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი — 300-ზე მეტი. ეს ციფრები მოწმობენ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ქიმიური მეცნიერებისა და მრეწველობის დონის კიდევ უფრო ამაღლების ამოცანა სავსებით განსახორციელებელია. ამასთან ერთად საჭიროა შემდგომი ზრუნვა ახალი კადრების მომზადებისათვის, განსაკუთრებით პოლიმერების, პლასტიკური მასებისა და სინთეზური მასალების დარგში. ამაზე ილაპარაკა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **გ. ციციშვილმა.** მან მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მუშაობა და გადიდდეს გამოშვება საშუალო განათლების მქონე ტექნიკური კადრებისა სამეცნიერო დაწესებულებებსა და საქარხნო ლაბორატორიებში მუშაობისათვის.

შემდეგ ამხ. ციციშვილი ლაპარაკობს იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც უკანასკნელ ხანს ეწევა პ. მელიქიშვილის სახელობის ინსტიტუტი, აგრეთვე მენდელეევის სახელობის სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს განყოფილება, რომელიც თავის შემადგენლობაში აერთიანებს მეცნიერებისა და წარმოების 750 წარმომადგენელს. ეს საზოგადოება დიდ მუშაობას ეწევა ქიმიური ცოდნის პროპაგანდის დარგში.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, — თქვა თავის სიტყვაში საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ტაკიძემ,** — გამოიწვია ახალი აღმავლობა ქალაქის მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივისა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში წარმატებათა მიღწევისათვის. ბრძოლაში. ქუთაისის მრეწველობამ მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა 106,1 პროცენტით შეასრულა. ქალაქში არ არის არც ერთი სამრეწველო საწარმო, რომელსაც საწარმოო დავალებები არ შეესრულებინოს. ქალაქის პარტიული ორგანიზაციები ისწრაფვიან კიდევ უფრო აამაღლონ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის დონე.

ამხ. ტაკიძე განსაკუთრებით შეეხო ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის მუშაობას, რომელიც მაღალხარისხოვან ქიმიურ პროდუქტებს უშვებს. იგი ლაპარაკობს ამ დაწესებულების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე, მისი გაფართოების შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე. ამასთან დაკავშირებით ამხ. ტაკიძე სთხოვს ხელმძღვანელ ორგანოებს, კერძოდ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, გამოჰყონ დამატებითი ასიგნებანი ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოთა დამთავრებისათვის, აგრეთვე ამ საწარმოს მუშებისა და მოსამსახურეების საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორს ამხ. **რ. აგლაძეს.** იგი ეხება საქართველოს ქიმიური მრეწველობის განვითარების გზებსა და პერსპექტივებს, ლაპარაკობს იმ დიდ წვლილზე, რომელიც ამ საქმეში რესპუბლიკის მეცნიერ-ქიმიკოსებს შეაქვთ. ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის, ამბობს ორატორი, საჭიროა, ახალი ობიექტების მშენებლობასთან ერთად, რეკონსტრუირებულ იქნას და გაფართოვდეს რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მოქმედი ქარხნები, რომლებმაც დიდიხანია გადააჭარბეს თავიანთ საპროექტო სიმძლავრეებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ამას წინათ შექმნილი გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი მჭიდროდ დაუკავშირდა რესპუბლიკის ქიმიურ საწარმოებს; მას თავის აქტივში უკვე აქვს რამდენიმე დანერგილი სამუშაო, რომლებიც შესრულებულია რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნისა და სხვა საწარმოების მუშაკებთან თანამშრომლობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ **ი. მიქელაძემ** თავის სიტყვაში მოიყვანა ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ჩვენს რესპუბლიკაში ქიმიური მრეწველობის განვითარების დიდ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან და მეცნიერების მუშაკ ქიმიკოსებთან ერთად დასახა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრას ჩამორჩენა ამ საქმეში. ამხ. მიქელაძე აკრიტიკებს გეოლოგიურ-საძიებო ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც მოვალენი არიან მკვეთრად გააძლიერონ ქიმიური ნედლეულის ახალი წყაროების ძიება საქართველოს მიწის წიაღში.

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელება მოითხოვს შეთანხმებულ ორგანიზაციასა და ყველა მისი რგოლის ზუსტ მუშაობას. ეს შეეხება საქართველოს არამადნეული წიაღისეულის ტრესტის საწარმოებსაც, რომლებიც ძირითადად ამუშავებენ ნედლეულსა და მასალებს ქიმიური მრეწველობისათვის. საქართველოს არამადნეული წიაღისეულის ტრესტის მმართველმა ამხ. **დ. ბაქრაძემ** პარტიულ აქტივს მოახსენა, თუ რა კეთდება ამ საწარმოებში პროდუქციის გამოშვების გასაადიდებლად ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების ინტერესებისათვის. ორატორი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა გამოიყოს დამატებითი სახსრები ამ სისტემის ზოგიერთი მოქმედი ობიექტის გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის, აგრეთვე საკითხის [illegible] იმის შესახებ, რომ შეიქმნას ახალი საწარმოები რესპუბლიკის უმდიდრესი ნედლეულის ბაზაზე.

ბათუმის კოფეინის ქარხანა რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ქიმიური საწარმოა. ქარხანა ყოველ წელიწადს აფართოებს პროდუქციის წარმოების მოცულობას და ასორტიმენტს, ასრულებს სახელმწიფო დავალებებს. ქარხანას ძალუძს გადაჭრას უფრო რთული და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებიდან. ამისათვის საჭირო იქნება საწარმოს შემდგომი გაფართოება. ამაზე ილაპარაკა თავის სიტყვაში ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ამხ. **ნ. დიასამიძემ.** მან დააყენა საკითხი, რომ საჭიროა რესპუბლიკაში შეიქმნას საპროექტო ორგანიზაცია, რომელიც სპეციალიზებული იქნება ქიმიურ საწარმოთა დაპროექტებაში, აგრეთვე შეიქმნას ცენტრალური საკონსტრუქტორო ბიურო ქიმიური აპარატურის კონსტრუირებისათვის.

იმაზე, რომ ქიმიური მრეწველობის ჩამორჩენის დაძლევისათვის საჭიროა ყველა სამეცნიერო-საკვლევი ცენტრის გაერთიანებული შემოქმედებითი მუშაობა სამრეწველო საწარმოებთან მჭიდრო კავშირში, მათი საქმიანობის მაქსიმალური კოორდინაცია, ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ამხ. **ნ. ლანდიამ.** სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციათა ჩვენი მეცნიერი მუშაკი ქიმიკოსები კი, როგორც ორატორმა აღნიშნა, მნიშვნელოვანწილად მოქმედებენ განკერძოებულად, არ არის სამუშაოთა ნამდვილი კოორდინაცია, გამოცდილებისა და ინფორმაციის, კვლევის მეთოდების საჭირო. გაცვლა, და ეს ძლიერ აბრკოლებს საქმეს. ამ მხრივ დიდი შესაძლებლობანი ისახება საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის შექმნით.

ქიმიის დარგში მეცნიერულ სამუშაოთა დონის ასამაღლებლად ამხ. ლანდიას საჭიროდ მიაჩნია მკვეთრად გაუმჯობესდეს არსებული ლაბორატორიებისა და ინსტიტუტების აღჭურვა უახლესი მოწყობილობით.

ამხ. ლანდია დაწვრილებით ახასიათებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიკოსების მუშაობას, რომლებიც ძირითადად სწავლობენ ნედლეულის ადგილობრივ რესურსებს და წარმოების ნარჩენებს ქიმიურ მრეწველობაში გამოსაყენებლად, ეწევიან ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებას. ყურადღების ღირსია ჭიათურის მარგანეცის მადნის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების, აგრეთვე ტექნოლოგიური გამოყენების შესწავლის შედეგები, რომელთა ნაწილი წარმატებით დანერგილია წარმოებაში. შემდეგ იგი შეეხო ინჟინერ-ტექნოლოგთა კადრების მომზადების საკითხს და აღნიშნა ნაკლოვანებანი ამ საქმეში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს უფროსმა ამხ. **ვ. აბესაძემ** კრების მონაწილეთა ყურადღება მიაქცია იმ ამოცანებს, რომლებიც რესპუბლიკის მენავთობეთა წინაშე დასახულია ახალ პირობებში. ისინი აღფრთოვანებით შეუდგნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. მთავარია უზრუნველყოთ ფართოდ გაშლა

საგაზაფხულო სამუშაოების მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულება უხვი მოსავლის საწინდარია

★ ★ ★

გავაძლიეროთ ნათესების დამუშავების ზემპი

ლაგოდეხში ვადაზე ადრე დაამთავრეს საგაზაფხულო ხვნა-თესვა, დათესილია 2.140 ჰექტარი სიმინდი. შესრულდა სოიის, საკვები ძირხვენების, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმა. ახლა კოლმეურნეობებში გაცხოველებით მუშაობენ წამყვანი კულტურის — თამბაქოს რგვალზე. ამ საქმეში თავი ისახელეს ახალი ულიანოვკის (თავმჯდომარე ე. დუკმასოვი), ლელიანის (თავმჯდომარე ი. აბრამიშვილი) და სხვა კოლმეურნეობებმა. მათ ორგანიზებულად დაიწყეს აგრეთვე საგაზაფხულო კულტურების დამუშავება.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სუსტად მიმდინარეობს ნათესების დამუშავება, ზოგიერთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები თვითკმაყოფილებას მიეცნენ, შეანელეს შემოქმედებითი შრომის ტემპი.

ჩაიბარეს რა ტექნიკა, ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა სრულიად დამოუკიდებლად იგრძნეს თავი, დაივიწყეს აგროტექნიკური მეცნიერება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება იწყეს მამაპაპური მეთოდებით. ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ სოფელ ნინიგორის კოლმეურნეობა „დრუჟბას“ (თავმჯდომარე ტ. პივნევი) მაგალითი.

— სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა უვარგისი მეთოდია. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ხელით თესვა უმჯობესია, — განაცხადა ამ კოლმეურნეობის აგრონომმა მიხეილ დარეჯანაშვილმა.

განცვიფრებას იწვევს აგრონომის ეს დასკვნა. ნინიგორელ კოლმეურნეებს კარგად ახსოვთ შარშანდელი გამოცდილება. მათ სიმინდი 20 ჰექტარზე დათესეს კვადრატულ-ბუდობრივად და თვითეულ ჰექტარზე 35 ცენტნერი მარცვალი მიიღეს, ხოლო იქ, სადაც მწკრივად ან ხელით დაითესა, ორჯერ მეტი შრომადღეები დახარჯეს და მოსავალიც დაბალი მიიღეს — 10-15 ცენტნერი ჰექტარზე.

სიმინდის პროგრესული მეთოდით თესვა უარყვეს აგრეთვე თელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ა. ლაცაბიძე) აგრონომ ი. ნანობაშვილს ოფიციალურად აუკრძალა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა და დაავალა თესვა ჩაეტარებინა ხელით.

თელის კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია. საგაზაფხულო სამუშაოებში მონაწილეობა უნდა მიიღოს 500 კოლმეურნემ, სინამდვილეში ყოველდღიურად მხოლოდ 150-200 კაცი გამოდის. მემინდვრეობის მეხუთე ბრიგადაში (ბრიგადირი შ. ბარბაქაძე) 103 კოლმეურნეა გაერთიანებული. აპრილში საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 20 კოლმეურნემ.

წლევანდელმა გაზაფხულის წვიმებმა დაასარეცლიანა ნათესები. საჭიროა ჯეჯილების მარგვლა, მაგრამ ამისათვის ნაკლებად იწუხებენ თავს. ნინიგორის და თელის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა მარგვლის ყალბი ცნობები შეიტანეს სამუშაოთა შესრულების მონაცემებში. ნინიგორის კოლმეურნეობის საბუხჰალტრო დოკუმენტებში ჩანს, რომ ჯეჯილების მარგვლა შეასრულებიათ 400 ჰექტარზე, ფაქტიურად მარგვლა ჩატარებულია მხოლოდ 60 ჰექტარზე.

ამ მხრივ აღმაშფოთებელი მდგომარეობაა თელის კოლმეურნეობაში. აქ პურის ნათესი 280 ჰექტარს არ აღემატება, ხოლო ბრიგადების უწყისებში ნაჩვენებია 1.000 ჰექტარი ჯეჯილის მარგვლა და დარიცხულია 441 შრომადღე. შემოწმებამ ნათელყო, რომ ციფრები განზრახ გაბერეს. ამის დამადასტურებელ დოკუმენტს იძლევა გამგეობის 1958 წლის 2 მაისის სხდომის დადგენილება: „მრავალჯერ იყვნენ გაფრთხილებულნი ბრიგადები, რათა დროულად ეწარმოებინათ საშემოდგომო ნათესების მარგვლა, მაგრამ მათი დაუდევარი მუშაობის შედეგად დღეს მთელი ჩვენი ნათესები გადავლილია გორველით“ (სტილი დაცულია).

ამ ორ კოლმეურნეობაში სახარბიელო მდგომარეობა არც თამბაქოს რგვასა და დამუშავებაშია. არ სრულდება თამბაქოს რგვის გრაფიკი. კოლმეურნეობას 10-15 მაისამდე თამბაქო უნდა დაერგო 97 ჰექტარზე, ფაქტიურად მხოლოდ 74 ჰექტარი დარგო. სუსტად მიმდინარეობს აგრეთვე თამბაქოს თოხნა.

მსგავსი მდგომარეობაა თელის კოლმეურნეობაში. აქ 14 მაისისათვის 86,4 ჰექტარის ნაცვლად დარგული ჰქონდათ მხოლოდ 28 ჰექტარი თამბაქო. კოლმეურნეობაში ამ ძვირფასი კულტურის რგვა ჭიანურდება.

საინტერესოა, როდემდის გაგრძელდება ასეთი უდარდელი დამოკიდებულება საგაზაფხულო კულტურების ნათესების დამუშავებისადმი? თუ ეს ნაკლოვანებანი დროულად არ გამოსწორდა, ლაგოდეხელები სათოხნი კულტურების უხვ მოსავალს ვერ მოიყვანენ.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ტექნიკა ცდება, თესვა ჭიანურდება

სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებში სიმინდის მასობრივად თესვა კარგა ხანია გაჩაღდა. სოფლების ეწრის, კულაშის, ღანირის კოლმეურნეობებში და დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „შრომაში“ სიმინდისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების თესვა დასასრულს უახლოვდება.

მაგრამ ასე როდი იმუშავეს სოფელ იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. თვალაძე). კოლმეურნეობის განკარგულებაში არის ორი ტრაქტორი და სხვა საჭირო იარაღ-მანქანები, ცოცხალი გამწევი ძალა, მაგრამ მათ სათანადოდ ვერ იყენებენ. გეგმით გათვალისწინებული 322 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 129 ჰექტარი. თესვაში სამარცხვინოდ ჩამორჩენენ სოფლების მელაურის, ნიგოზრწყვის, ზედა ეწრის, ოფეთის და სხვა კოლმეურნეობები.

სოფელ მელაურის ვ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 208 ჰექტარის ნაცვლად სიმინდი დათესილი აქვს 26 ჰექტარი.

აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ თესვის ამ გადამწყვეტ დღეებში, როცა ძვირფასია ყოველი საათი, ურიგდებიან ტექნიკის მოცდენას. მაგალითად, თვეზე მეტი დრო გავიდა, რაც ტრაქტორი შესაკეთებლად დგას მეხუთე ბრიგადაში. იგი დღემდე უპატრონოდ არის მიტოვებული. ამის შესახებ კოლმეურნეობის ბრიგადირმა გ. ნიკოლეიშვილმა განაცხადა: ამ ტრაქტორს ვერაფერი ვერ მოუხერხეს სარემონტო-ტექნიკური სადგურის მუშაკებმაო.

ეს ტრაქტორი ეკუთვნის სამტრედიის სარემონტო-ტექნიკურ სადგურს, რომლის დირექტორია ა. დუნდუა. მას ასეთი მდგომარეობა რატომღაც არ აღელვებს.

ამავე კოლმეურნეობის მეესამე ბრიგადის ნაკვეთზე 14 მაისს სათესი მანქანა ტრაქტორის მოლოდინში უქმად იდგა. მეზობლად მდებარე სოფელ მელაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში კი სათესი მანქანა გაუფუჭდათ და ტრაქტორი მოცდა. არავის აზრად არ მოსვლია, რომ მეორე სათესი მანქანა გადმოეტანათ და ტრაქტორი არ მოეცდინათ.

როგორც ჩანს, კოლმეურნეობის გამგეობამ და სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციამ შეასუსტეს მინდობილი საქმისადმი უყურადღება. ეს მაშინ, როცა სიმინდის თესვის გეგმის შესრულებას ჩაშლის საფრთხე მოელის. აქედან სერიოზული დასკვნები უნდა გააკეთონ პარტიის სამტრედიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

ვ. კოკალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

შეხვედრა რევოლუციის ვეტერანებთან

მახარაძე. (საკ. კორ.). ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომმა მოაწყო ძველ ბოლშევიკთა რაიონული შეკრება. შეკრებაზე მოვიდნენ 1905 წლის რევოლუციის, აგრეთვე მეფის ჯარებთან ნასაკრალში მომხდარი ცნობილი შეტაკების აქტიური მონაწილენი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში თავდადებული ადამიანები, რომლებიც მენშევიკების ბატონობის დღეებში არ შედრკნენ და რუსეთის მუშათა კლასის დახმარებით ძლევამოსილი წითელი დროშა აფრიალეს საქართველოში.

შეკრებას ესწრებოდა 150-მდე ძველი ბოლშევიკი. რევოლუციის ვეტერანების წინაშე სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები კ. უჯმაჯურიძე, ი. დოლიძე და სხვ.

შეკრების მონაწილეებს მიესალმნენ მახარაძის ბავშვთა სახლის აღსაზრდილები. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

რაიონული ცენტრი და სოფლები მწვანე სამოსელში

ხობი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად ათეული ათასობით ხე და ბუჩქი ემატება რაიონულ ცენტრსა და საკოლმეურნეო სოფლებს. „ტყის მეგობრის“ წევრები ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობენ.

„ტყის დღესთან“ დაკავშირებით რაიონის მშრომელებმა გეგმით გათვალისწინებული 30.000 ძირის ნაცვლად 33.547 ძირი წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარე დარგეს. დიდი რაოდენობით დაირგო კაკლის ხე, წაბლი, ვაშლი, მსხალი, აკაცია, ჭადარი, კანადური ალვისხე და სხვ.

ბევრი მცენარე დაირგო სოფლებში ხამისქურში, შუა ქვალონში, ძველ და ახალ ხიბულაში, ბიაში, შუა ხორგაში, ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში.

ძეხვის საამქრო

ბოლნისი. (საკ. კორ.). რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციამ დაბა ბოლნისში გახსნა ძეხვის საამქრო. ამ პატარა საამქროში აქვთ 5 ტონის ტევადობის მაცივარი, ძეხვის დასამზადებელი ყველა დანადგარი — ხორცის საკეპი, საზელი, ხორცისა და ქონის ამრევი, ნაწლავების დასატენი დანადგარი, ძეხვეულის მოსუფთავებელი და შესაბოლი შენობა.

საამქროს დღეღამეში შეუძლია გამოუშვას 1 ტონა ძეხვეული. საამქროს მიერ გამოშვებული პროდუქციით მომარაგდება ბოლნისის მეზობელი დმანისის, თეთრი წყაროსა და წალკის რაიონები.

საქართველოს კურორტებიდან

წყალტუბო

წყალტუბოს უნიკალური წყლების სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდან იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იგი ღრმა მეცნიერული შესწავლის ობიექტი არ გამხდარა.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის შუქმა უცვალა სახე წყალტუბოს და იგი პრიმიტიულ-პროვინციული ავარაკიდან მოწინავე, კეთილმოწყობილ, საკავშირო მნიშვნელობის კურორტად აქცია.

წყალტუბოს ყოველმხრივ აღჭურვილი სანატორიუმებისა და პოლიკლინიკების ბაზაზე ჯანმრთელობას აღიდგენს და იკაჟებს ათასობით ავადმყოფი და დამსვენებელი. ამჟამად კურორტზე მოქმედებს 12 სანატორიუმი, 7 საბანაზანო, ორი პოლიკლინიკა, პანსიონატი, სასტუმრო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი და რამდენიმე ათეული დამმარე დაწესებულება.

უახლოეს წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა და მწყობრში ჩადგება 5 ახალი, ტექნიკისა და არქიტექტურის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული სანატორიუმის მონუმენტური შენობები. მიმდინარე წლის ივლისის ბოლოსათვის დამთავრდება ხაგაზაფხულო ტიპის საბანაზანო, რომელიც საათში 180 ავადმყოფს გაატარებს. იგი 1.300 ათახი მანეთი დაჯდება.

გასულ წელს საძირკველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდ კომპლექსურ საბანაზანოს (არქიტექტორები ვ. კედია და ი. ზაალიშვილი), რომლის გამტარუნარიანობა ოთხჯერ გადაჭარბებს ამჟამად მოქმედი № 6 საბანაზანოს სიმძლავრეს. აღნიშნული საბანაზანო დაგეგმილია 200 ინდივიდუალური კაბინით, რომელთა საერთო ღირებულება 34 მილიონ მანეთს აღემატება. დაწყებულია აგრეთვე № 4 საბანაზანო შენობის რადიკალური რეკონსტრუქციის სამუშაოები, რაც საბანაზანოს გამტარუნარიანობას ერთიორად გაადიდებს და საექსპლოატაციოდ გამოსადეგს გახდის მას წლის ყველა პერიოდში. დასასრულს უახლოვდება ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამუშაოები. განსაკუთრებული უურადღება ექცევა რკინიგზის სადგურის მოედნის მისასვლელი გზის, ქუთაისიდან შემოსასვლელი ახალი ქუჩის — სტალინის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოებს. ბევრი რამ გაკეთდა კურორტის ტერიტორიის გამწვანებისათვის დეკორაციული მცენარეებით. წელს კურორტის კეთილმოწყობაზე სულ განზრახულია დაიხარჯოს 730.000 მანეთი. დადებითად გადაიჭრა ჭარეთვე კურორტის წყლით მომარაგების საკითხი.

კურორტის კეთილმოწყობის, მისი გამტარუნარიანობის ზრდის პარალელურად ყოველწლიურად იზრდება სამკურნალო ეფექტიანობის მაჩვენებლები. უკეთ მოეწყო ამბულატორიულ ავადმყოფთა სამედიცინო და კომუნალური მომსახურება, მედიცინის უკანასკნელ მიღწევათა საფუძველზე განმტკიცდა ავადმყოფთა სამკურნალო რეჟიმი. ბოლო წლებში სამედიცინო პრაქტიკაში ფართოდ დანერგილმა მკურნალობის კომპლექსურმა მეთოდებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ავადმყოფთა გაჯანსაღების პროცენტი. თუ გამოჯანსაღებულ მდგომარეობაში გაწერილ ავადმყოფთა რიცხვი 1950 წელს 72,8 პროცენტს შეადგენდა, 1957 წელს მან 96-ს მიაღწია.

ავადმყოფთა და დამსვენებელთა მომსახურების გაუმჯობესების საქმეში დადებითი შედეგი გამოიღო საერთო-საკურორტო და სამკურნალო ობიექტების სისტემატურმა შიდადთვალიერებამ. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად კურორტზე პეროიოდულად ვდგინდება მოწინავე და ჩამორჩენილი დაწესებულებები, მყღავნდება ნაკლოვანებები და ისახება კონკრეტული გზები მათი გამოსწორებისათვის. გასულ წელს სამედიცინო და სამეურნეო ხაქმიანობაში შედარებით კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ სანატორიუმებს: № 1-ს, „მეგობრობას“, „მეტალურგს“, „რკინიგზელს“, № 1 პოლიკლინიკას და სხვ.

წყალტუბოს სამკურნალო მინერალური წყლების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალს. დღეისათვის კურორტ წყალტუბოს სამეცნიერო კვლევის ფონდში სამასამდე ნაშრომია.

მიღწევებთან ერთად ჩვენს მუშაობაში არის ნაკლოვანებანიც. პირველ რიგში აღსანიშნავია კურორტის სამკურნალო ობიექტების არარეგულარული მომარაგება კვების პროდუქტებით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში საქართველოს კურორტვაჭრობის წყალტუბოს განყოფილებამ ერთგვარად გააუმჯობესა მუშაობა, დღემდე მაინც იგრძნობა ზოგიერთი პროდუქტის ნაკლებობა.

აღსანიშნავია ზოგიერთი რესპუბლიკური საკურორტო კანტორისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის არაგულისხმიერი დამოკიდებულება საგზურების დროულად გაცემისა და სანატორიუმების პროფილის დაცვისადმი. ეს ხშირად სანატორიუმების გადატვირთვას, გაუგებრობას და ავადმყოფთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ხარვეზები გვაქვს ამბულატორიულ ავადმყოფთა სამედიცინო და კომუნალური მომსახურების საქმეშიც. ეს განსაკუთრებით ითქმის სეზონის უველაზე გადატვირთულ პერიოდზე, როცა ამბულატორიულ ავადმყოფთა რიცხვი კურორტზე ძალიან იზრდება. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აფერხებს პოლიკლინიკებისა და ბალნეოლოგიური დაწესებულებების ნორმალურ მუშაობას.

კურორტის საჭირო საშენი მასალებით ცუდად მომარაგების გამო ხშირად ფერხდება კაპიტალური მშენებლობა და შეკეთება. მთელ რიგ შემთხვევაში გეგმაზომიერი მომარაგების უქონლობის გამო მშენებლობა ჭიანურდება. ხამდურავნ იწვევს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და № 4 ტრესტს არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. № 2 სამშენებლო სამმართველო რამდენიმე წელია აწარმოებს კურორტის ობიექტების მშენებლობას. ამ ხნის მანძილზე დასახული გეგმები სისტემატურად შეუსრულებელი რჩება. № 4 ტრესტი და თვით სამინისტრო № 2 სამშენებლო სამმართველოს კონკრეტულ და ქმედით დახმარებას რომ უწევდნენ, ადგილი ალარ ექნებოდა დამტკიცებული გეგმების წლის მანძილზე რამდენჯერმე გადახანჯვას და დაშვებული თანხების უყაირათოდ განაწილებას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუხრელი ზრუნვის შედეგად წყალტუბოში შექმნილია ყველა პირობა ავადმყოფთა და დამსვენებელთა ყოველმხრივი, მაღალკვალიფიციური მომსახურებისათვის. კურორტ წყალტუბოს მრავალრიცხოვანი კოლექტივი ძალასა და ენერგიას არ დაზოგავს იმისათვის, რომ სანიმუშოდ ჩაატაროს წლევანდელი საკურორტო სეზონი.

შ. ჭალაგანიძე,
წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს დირექტორი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — კოლონადა კურორტ წყალტუბოს ცენტრალური პარკის შესასვლელთან; ქვემოთ — დამსვენებელთა ჯგუფი საკურორტო სასტუმრო „თბილისის“ ეზოში.

ფოტო ე. ციციაშვილისა
და პ. ლუცენკოსი.

სურათზე: აგიტატორი გ. მაჩიტიძე ეხაუბრება მსმენელებს.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

სკკპ, ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის

ქიმიური მრეწველობის აღმავლობა საერთო-სახალხო საქმეა

აგიტატორის საუბარი

ქარხანაში ახალი გაზეთი მოვიდა. პარტბიუროს მდივანმა თ. მონცელიძემ კაბინეტში მოიწვია აგიტატორები და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები. სათანადო, შინაარსიანი ინსტრუქტაჟის შემდეგ მან ურჩია აგიტატორებს ფართოდ გააცნონ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილება „მოსახლეობის მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ქიმიური მრეწველობის და განსაკუთრებით სინთეზური მასალების და მათ ნაკეთობათა წარმოების განვითარების დაჩქარების შესახებ“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება ამ პლენუმზე.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის აგიტატორები, როგორც წესი, საუბრებს აწყობენ ცვლის სამუშაოზე გასვლის წინ ან სამუშაოს დამთავრების შემდეგ. ამონიუმის წარმოების უფროსმა მექანიკოსმა გ. მაჩიტიძემ, რომელიც კომპრესორის საამქროში ეწევა აგიტაციას, ამჟამად საუბრის ჩატარება ცვლის სამუშაოზე გასვლის წინ არჩია.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამ დღეებში განიხილა ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხი და მიიღო სათანადო დადგენილება, — ასე დაიწყო საუბარი აგიტატორმა საამქროს მუშებთან. — ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ახლა მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღების ცენტრშია.

საბჭოთა ხალხმა თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიულად მოკლე ვადაში შეძლო აეშენებინა სოციალიზმი. სოციალიზმს რომ აშენებდნენ, საბჭოთა ადამიანები მთელ თავიანთ შემოქმედებითს საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის მითითებებით.

აგიტატორი ლაპარაკობს იმ წარმატებებზე, რაც მოპოვებულია სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, და ამბობს, რომ როგორც ყოველთვის, მომავალშიც საბჭოთა ადამიანები არ დაკმაყოფილდებიან მიღწეულით, უფრო წინ წასწევენ მეცნიერებას, ტექნიკას, კულტურას, მიაღწევენ იმას, რომ უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავასწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ამხანაგებო! ქიმიური მრეწველობის განვითარება ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც ახლა შეუხელებელი ყურადღება ექცევა, იმის პირობაა, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს მშრომელთა კეთილდღეობის დონე. ქიმიური მრეწველობა, განსაკუთრებით სინთეზური მასალების და მათ ნაკეთობათა წარმოება ჩვენს ქვეყანაში განუხრელად ვითარდება. მაგრამ იგი გაცილებით მაღალ დონეს მიაღწევს 1965 წლისათვის, როცა პრაქტიკულად განხორციელდება მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

აქ აგიტატორმა გაზეთი მოიშველია და მისი საშუალებით გააცნო მსმენელებს, რომ პლენუმის გადაწყვეტილებებით დახახული ღონისძიებანი ითვალისწინებენ 1965 წელს 1957 წელთან შედარებით სამძლავრეთა ზრდას ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოებაში 4,6-ჯერ, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების წარმოებაში — 8-ჯერ, სინთეზური კაუჩუკის წარმოებაში — 3,4-ჯერ. უმნიშვნელოვანესი ქიმიური პროდუქტების წარმოება 1959-1965 წლებში გაიზრდება სულ ცოტა 2-3-ჯერ, ხოლო ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოებისა და პლასტიკური მასების წარმოება — 4,5-8-ჯერ.

ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებანი, — ამბობს აგიტატორი გ. მაჩიტიძე, — დიდი ამოცანების წინაშე გვაყენებს ჩვენ — რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივის მუშა-მოსამსახურეებს.

— ჩვენი ქარხანა, — განაგრძო აგიტატორმა, — საქართველოს ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთი ახალი საწარმოა. ის მოწოდებულია უმოკლეს ვადაში მთლიანად დააკმაყოფილოს რესპუბლიკის გაზრდილი მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე. ქარხნის არსებობის ამ მოკლე მანძილზე შეიქმნა მყარი კოლექტივი, რომელიც თავის საქმიანობაში სისტემატურად ნერგავს ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. საამაყოა აღინიშნოს, რომ გასული 4 თვის საწარმოო გეგმა ჩვენი ქარხნის კოლექტივმა 103,9 პროცენტით შეასრულა.

მიმდინარე წლის დასაწყისში მწყობრში ჩადგა კალიუმპერმანგანატის საამქრო, რომელმაც დიდი პროგრესული როლი შეასრულა ქარხნის შემდგომი ზრდისა და განვითარების საქმეში. პერმანგანატს, რომელსაც აღნიშნული საამქრო უშვებს, ძირითადად იყენებენ მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

აგიტატორი ეხება ქარხნის უახლოესი პერსპექტივებისა და გეგმების საკითხს.

— 1965 წლისათვის ქარხნის პერსპექტიული გეგმით, — ამბობს აგიტატორი, — გათვალისწინებულია 2,3-ჯერ გაიზარდოს მინერალური სასუქების წარმოება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქარხანამ დააკმაყოფილოს არა მარტო რესპუბლიკის, არამედ სხვა მოძმე რესპუბლიკების მოთხოვნილებაც მინერალურ სასუქებზე. 2,6-ჯერ გაიზრდება ქარხანაში აგრეთვე ამონიუმის წარმოება.

შემდეგ აგიტატორმა მსმენელებს მიაწოდა ცნობა იმის შესახებ, რომ შვიდწლიანი გეგმით ქარხანაში გათვალისწინებულია კაპროლაქტანის ძლავრი საამქროს მშენებლობა, რაც წელს დაიწყება.

ჩვენი ქარხნის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იქნება შარდოვანას საამქროს მშენებლობა, რომელიც მალე დაიწყება.

ამხანაგებო, როგორც ხედავთ, ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობის წინაშე და, მაშასადამე, ჩვენი ქარხნის კოლექტივის წინაშეც დასახულია სერიოზული ამოცანები. ახლა მთავარია მაქსიმალურად გამოვიყენოთ მთელი ხელუხლებელი რეზერვები და შესაძლებლობანი, გავაორკეცოთ ენერგია და საქმით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებას.

აგიტატორის ცოცხალმა, შინაარსიანმა საუბარმა საამქროს მუშა-მოსამსახურეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. სიტყვა ითხოვა ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ნ. ბარანჩუკმა.

— ჩვენს ქვეყანაში ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა განიხილა, — განაცხადა მან, — ნამდვილად დროული და მომწიფებული საკითხია. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ახალი დადგენილების წარმატებით განხორციელებით ჩვენი ქვეყანა შემდგომ განავითარებს ქიმიურ მრეწველობას და მეტი რაოდენობით გამოუშვებს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ქსოვილების და საოჯახო ნივთების ნაწარმს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი ღონისძიებანი თვითეული ჩვენგანისაგან მოითხოვს ენერგიულ, შემოქმედებითს მუშაობას.

ამჟამად ჩვენი საამქრო რეკონსტრუქციის პროცესშია. მიმდინარეობს მისი გაფართოება. უახლოეს ხანში დამატებით დავამონტაჟებთ სამ კომპრესორს. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავადიდოთ აზოტოვანი სასუქების წარმოება.

* * *

აგიტსაუბარმა საქმიან ვითარებაში ჩაიარა. საუბარზე დამსწრეებმა ერთხმად გადაწყვიტეს გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და დაძაბონ ენერგია, რათა საწარმოო გეგმა სისტემატურად გადაჭარბებით სრულდებოდეს ყოველ ცვლაში, მთელ საამქროში.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 20 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დღეს მოიწონა გადაწყვეტილებანი, რომლებიც საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო ალჟირში სამხედრო ფაშისტური გადატრიალების მომენტიდან, აგრეთვე მოიწონა კომპარტიის საპარლამენტო ჯგუფის საქმიანობა.

პლენუმის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ „შეთქმულება, რომელიც ძირგამომთხრელმა ელემენტებმა მოაწყეს, მხილებულ იქნა“ და რომ „დე გოლი აღმოჩნდა ამბოხების სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი“. „მაგრამ რესპუბლიკის გამარჯვება ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი“, ნათქვამია განცხადებაში.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი „ერთსულოვნად ავალებს პოლიტბიუროსა და საპარლამენტო ჯგუფს მიიღონ ყველა ღონისძიება, რათა ყოველგვარ პირობებში უზრუნველყონ დემოკრატიულ ინსტიტუტთა და მუშათა კლასის მიერ მოპოვებულ თავისუფლებათა დაცვა, რათა ხელისუფლების გზა გადაუღობონ ძირგამომთხრელ ელემენტებს, რომლებსაც დე გოლი მეთაურობს, რათა ჩაუშონ ყოველგვარი ცდა დამყარდეს საფრანგეთში პირადი დიქტატურა, სოციალურ რეაქციას, მილიტარიზმსა და ულტრაკოლონიზატორებს რომ ეყრდნობა, რომელნიც ჩრდილოეთ აფრიკაში საყოველთაო ომის მომხრენი არიან“.

მდგომარეობა ალჟირში

პარიზი, 21 მაისი. (საკდესი). ალჟირში კვლავ ჩადიან პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც მხარს უჭერენ კოლონიზატორების მიერ ალჟირში მოწყობილ ამბოხებას და მოითხოვენ გენერალ დე გოლის ჩადგომას ხელისუფლების სათავეში. ფრანგული გაზეთები იუწყებიან, რომ ალჟირში ჩავიდა ეროვნული კრების კიდევ ორი დეპუტატი — რაიმონ დრონი და პასკალ არიგი. დრონმა განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას „საზოგადოებრივი ხსნის მთავრობა, რომლის მეთაური უნდა იყოს გენერალი დე გოლი“.

დრონისა და არიგის მსგავსი პოლიტიკური მოღვაწეები მიდიან საფრანგეთიდან, მეტუხედავად იმისა, რომ მთავრობამ ოფიციალურად აკრძალა ალჟირში გამგზავრება. მათ ვერ აჩერებს ყველა აეროდრომზე და საზღვარზე შემოღებული „მკაცრი კონტროლი“.

პარიზი, 21 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, ორანის (ალჟირი) სამხედრო-საზღვაო ოლქის პრეფექტმა ვიცე-ადმირალმა ჟელმ გამოაქვეყნა ბრძანება, რომელშიც მოუწოდა მეთაურებს და მატროსებს „ემსახურონ საფრანგეთის ალჟირს“ და შეუერთდნენ გენერალ სალანს, რომელსაც „ალჟირში გაკუთვნის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება“.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 20 მაისი. (საკდესი). მთავრობამ ეროვნული კრების განსახილველად შეიტანა კანონპროექტი მისთვის ალჟირში საგანგებო რწმუნებათა მინიჭების შესახებ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პფლიმლენმა, „გახსნა რა კამათი ამ საკითხზე, განაცხადა, რომ მთავრობა არ დაუშვებს „ალჟირის გასვლას საფრანგეთის გაერთიანებიდან“. მან თქვა, რომ მთავრობა ემზადება, რათა ალჟირში სარდლობის განკარგულებაში გაგზავნოს ახალი ჯარები და იარაღი ალჟირელ მეამბოხეთა წინააღმდეგ საომარი მოქმედების გასაძლიერებლად.

შემდეგ პფლიმლენმა აღნიშნა, რომ მდგომარეობა ალჟირში ჯერ კიდევ გაურკვეველია. მისი სიტყვით, ფრანგ კოლონისტთა განწყობილება ალჟირში ზოგიერთმა წამქეზებლებმა გამოიყენეს იმისათვის, რომ მოეწყოთ „ამბოხება“. მეამბოხე ელემენტებს, თქვა მან, ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი თავიანთ ზრახვებზე.

ამავე დროს პფლიმლენი ამართლებდა საფრანგეთის არმიის ხელმძღვანელთა მოქმედებას ალჟირში, რომლებიც, როგორც ცნობილია, მხარს უჭერენ კოლონიზატორთა გეგმებს. პფლიმლენი ამტკიცებდა, რომ არმია, და კერძოდ გენერალი სალანი, „უზრუნველყოფენ წესრიგს“ და რომ უახლოეს დღეებში მიღებულ იქნება ყველა ღონისძიება კანონიერების საკუთარი აღდგენისათვის“.

შეეხო რა მდგომარეობას მეტროპოლიაში, პფლიმლენმა თქვა, რომ პარიზსა და პროვინციაში აღდგენილია წესრიგი. იგი დაეთანხმა იმათ აზრს, ვინც მოითხოვს „სახელმწიფოს ავტორიტეტისა და სიმტკიცის“ უზრუნველყოფას. მთავრობა, თქვა მან, ეროვნული კრების განსახილველად შეიტანს წინადადებებს კონსტიტუციის რეფორმის შესახებ აღმასრულებელი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით.

პფლიმლენის გამოსვლის შემდეგ დაიწყო კამათი.

პარიზი, 20 მაისი. (საკდესი). მემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენლებმა იერიში მიიტანეს მთავრობაზე, როცა მიმდინარეობდა კამათი მთავრობისათვის ალჟირში საგანგებო რწმუნებათა მინიჭების საკითხზე. დეპუტატმა დიდმა მთავრობას უსაყვედურა, რომ იგი არ მიმართავს რუბრესიებს კომუნისტების წინააღმდეგ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟიულ მოკმა უპასუხა, რომ მთავრობამ მიიღო ღონისძიებანი ამბოხების წამქეზებელთა წინააღმდეგ იმისათვის, რომ უზრუნველყოს „რესპუბლიკური წესრიგის პატივისცემა“. მემარჯვენე დეპუტატები მინისტრს აწყვეტინებდნენ სიტყვას და ხელს უშლიდნენ, მაშინ როდესაც მემარცხენე ფრთისა და ცენტრის დიდი უმრავლესობა ტაშით მიესალმა მას.

ორი სხვა მემარჯვენე დეპუტატის მონდონისა და იზორნის გამოსვლები იმით გამოიხატა, რომ ისინი იცავდნენ ალჟირის ამბოხების ორგანიზატორებს. იზორნიმ მოითხოვა, რომ მთავრობამ საგანგებო რწმუნებანი მიანიჭოს გენერალ სალანს.

რესპუბლიკური წყობილების დასაცავად გამოვიდნენ მემარცხენე პარტიების წარმომადგენლები. კომპარტიის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ ჟაკ დუკლომ განაცხადა, რომ კომუნისტები მხარს დაუჭერენ მთავრობას. ისინი ხმას მისცემენ მთავრობის საგანგებო რწმუნებებს, თქვა მან, იმიტომ, რომ „ახლანდელ ვითარებაში ეს ნიშნავს ხმის მიცემას რესპუბლიკისათვის“.

მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ რადიკალმა მენდეს-ფრანსმა დაგმო დე გოლის მიერ გამოთქმული აზრები, რომელმაც მხარი დაუჭირა მეამბოხეებს ალჟირში. მენდეს-ფრანსმა თქვა, რომ, ხმის მისცემენ რა მთავრობას, დეპუტატები დაადასტურებენ მის კანონიერებას. ამავე დროს მან გამოთქვა აზრი, რომ მთავრობა უფრო მტკიცედ უნდა მოქმედებდეს ამბოხების წინააღმდეგ. „სამხედრო ხელმძღვანელებს, — თქვა მან, — უნდა გავახსენოთ მათი მოვალეობა და ღირსება ისეთი გამოთქმებით, როგორიც დღემდე არ ისმოდა“.

სოციალისტებმა, კათოლიკური პარტიის „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის“ წევრებმა და მთავრობის კოალიციის სხვა ჯგუფების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ მთავრობას.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პფლიმლენის საბოლოო სიტყვის შემდეგ დაიწყო კენჭისყრა. მთავრობისათვის ალჟირში საგანგებო რწმუნებათა მინიჭების კანონპროექტი მოიწონა 475 ხუთმა წინააღმდეგ ხმა მისცა 100 დეპუტატმა.

ახლა კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა რესპუბლიკის საბჭოს.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვენა, 20 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ფოლკსშტიმე“ იუწყება, 17 და 18 მაისს მიმდინარეობდა ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მოხსენება ავსტრიის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობისა და ავსტრიის კომპარტიის უახლოესი ამოცანების შესახებ გააკეთა ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფრიდლ ფიურნბერგმა.

ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მოხსენების გამო მიიღო გადაწყვეტილება. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობაში დამატებით არჩეულ იქნენ რობერტ დუბოვსკი და ოტო ჰორნი.

მდგომარეობა ღიბანში

ბეირუთი, 20 მაისი. (საკდესი). გუშინ მთელ ლიბანში მიმდინარეობდა საყოველთაო გაფიცვა. ბეირუთში დახურულია მრავალი მაღაზია, საწარმო, დაწესებულება და კინოთეატრი. ბეირუთის ნავსადგური არ მოქმედებს.

ლიბანის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ხდებოდა შეიარაღებული შეტაკება აჯანყებულებსა და ეგრეთწოდებულ მთავრობის უმშროების ძალებს შორის. გაზეთ „ალ-სიასის“ ცნობით, გუშინ ქალაქ ტრიპოლის რაიონში სამი საათის ბრძოლის შედეგად მოკლულია 27 კაცი. არის მრავალი დაჭრილი.

შუფის მთიან რაიონში უშიშროების ძალებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოიყენეს ავიაცია და არტილერია. გაათვრეული ბრძოლის შემდეგ აჯანყებულებმა ხელთ იგდეს 3 ჯიპშენიანი მანქანა და 4 სატვირთო ავტომობილი. იუწყებიან, რომ აჯანყებულებმა ააფეთქეს ხიდები, რომლებიც ბეირუთს აკავშირებენ სამხრეთ ქალაქ საიდასთან.

კაირო, 20 მაისი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ ამანდან ბეირუთში გადაჰყავთ იორდანიის ჯარები სახალხო აჯანყების ჩასაქრობად. როგორც მენის საგენტო იუწყება, ეს ჯარისკაცები გამოწყობილი არიან სამოქალაქო ტანსაცმლით და შეიარაღებული ავტომატური იარაღით.

დამასკი, 20 მაისი. (საკდესი). დამასკოს გაზეთებმა გამოაქვეყნეს ლიბანიდან ჩამოსულთა ცნობა იმის შესახებ, რომ ბეირუთის აეროდრომზე დაშვა ამერიკის რამდენიმე თვითმფრინავი. ამ თვითმფრინავებით ლიბანში ჩავიდნენ ამერიკელი ოფიცრები და ჯარისკაცები.

ბეირუთი, 20 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ალ-აბბარი“, კომენტარს უკეთებს რა ცნობებს იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს განზრახული აქვთ ჩაერიონ ლიბანის საშინაო საქმეებში, წერს, რომ იმპერიალისტების ყოველი ჩარევა ლიბანელი ხალხის მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდება. „ჩვენ ვფიქრობთ, — აღნიშნავს გაზეთი, — რომ იმპერიალისტების ჩარევა ლიბანის საშინაო საქმეებში იმითვე დამთავრდება, რითაც იგი დამთავრდა პორტ-საიდის რაიონში“.

ლიბანში, ხაზგასმით აღნიშნავს „ალ-აბბარი“, უნდა დამყარდეს მშვიდობა და სტაბილობა, მაგრამ ამისათვის საჭიროა დავამსხვრიოთ ეიზენჰაუერის დოქტრინის ხუნდები და დავიცვათ ჩვენი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა.



ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პარკი პიონერთა და მოსწავლეთა ყველაზე საყვარელი დასასვენებელი ადგილია. იშვიათია, რომ ბათუმში ჩამოსულმა ტურისტებმა და ექსკურსანტებმა არ ინახულონ პიონერთა პარკი, რომელიც გამოირჩევა მომხიბლავი ხეივნებით, ტალავრებით, სასპორტო მოედნებით და ლამაზი ტბით, სადაც დასეირნობს ნავებისა და იახტების მთელი ფლოტილია. სურათზე: ვ. ი. ლენინის სახელობის პარკის ტბაზე.

ფოტო გ. ბიბილეიშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

„ნიდერლანდ-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაცია საქართველოში

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო სტუმრად „ნიდერლანდ-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაცია საზოგადოების გენერალური მდივნის ვილიამ ჰიულსტის მეთაურობით. დელეგაციის წევრებს აინტერესებდათ საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარება. ისინი გაეცნენ თბილისის, რუსთავის ცხოვრებას, იყვნენ აჭარასა და აფხაზეთში.

„ნიდერლანდ-სსრ კავშირის“ საზოგადოების წარმომადგენლებმა ინახულეს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი დ. ი. ჩხეიძეშვილი და ესაუბრნენ მას. გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა სტუმრების შეხვედრამ იმ პირებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ ქართული ბატალიონის აჯანყებაში ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის წლებში.

დელეგაციის რამდენიმე წევრმა სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რადიოთი. დელეგაციის მეთაურმა „ნიდერლანდ-სსრ კავშირის“ საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ვილიამ ჰიულსტმა აღნიშნა, რომ იგი და მისი ამხანაგები აღტაცებული არიან ადამიანისათვის იმ ზრუნვით, რასაც საბჭოთა კავშირში იჩენენ. ამას თვალნათლივ მოწმობს რუსთავი, მშვენიერი თანამედროვე ქალაქი.

განსაკუთრებით აღგაფრთოვანა, — თქვა ბ-ნმა ვილიამ ჰიულსტმა, — ყველა საბჭოთა ადამიანის გულითადობამ ჩვენდამი.

ჩვენს ხალხს უკვე აქვს ერთგვარი წარმოდგენა საქართველოზე, ვიცნობთ მის გმირ შვილებს, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ ჰიტლერელთა წინააღმდეგ ომის დროს კუნძულ ტექსელზე. დიდად მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა გვქონდა ვწვეოდით საქართველოს.

დასასრულ ბ-ნმა ვილიამ ჰიულსტმა განაცხადა:

— ჩვენი სურვილია კიდევ უფრო განვითარდეს კულტურული ურთიერთობა ჰოლანდიისა და თქვენი ქვეყნის პროგრესისათვის. ჩვენ კიდევ მეტს ვიმუშავებთ, რათა გავაფართოოთ კონტაქტი ჩვენს ხალხებს შორის. გისურვებთ კეთილდღეობას, პროგრესს თქვენს მუშაობაში და მშვიდობისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

თბილისში ჩამოვიდა ბ-ნი ანდრეას ანდერსენი

21 მაისს სოჭიდან თბილისში ჩამოვიდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ბ-ნი ანდრეას ანდერსენი მეუღლითურთ. სტუმარი საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით. (საქდესი).

აღბანელ ქალთა დელეგაცია თბილისში

21 მაისს საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი გულთბილად შეხვდნენ ალბანელ ქალთა დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ალბანეთის ქალთა კავშირის გენერალური მდივანი ნეფო მუფტიუ.

დელეგაციაში არიან ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა მოძრაობის აქტიური მოღვაწეები, მათ შორის იურისტი ქსანტიპი ბეგეია, ქალაქ ბერატის ქალთა საოლქო ორგანიზაციის მდივანი ლორი სალაბანდა, პედიატრი ექიმი მერი ტიმო, ქალაქ ტირანის ი. ბ. სტალინის სახელობის საფეიქრო კომბინატის მოწინავე მრთველი მარგარიტა კერეზი, ქალაქ ლეჟის ქალთა საოლქო ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ტაზე გიონი.

დელეგაციის წევრები სსრ კავშირში ჩამოვიდნენ საბჭოთა ქალების კომიტეტის მოწვევით. მათ აინტერესებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკითხები, ქალთა მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში.

ჩამოსვლის დღეს მეგობარი ალბანეთის ქალთა წარმომადგენლები ეცნობოდნენ თბილისს. საღამოს ისინი იყვნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში. (საქდესი).

ახალი გაზეთი „ვეჩერნი თბილისი“

20 მაისიდან რუსულ ენაზე გამოსვლა იწყო საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ყოველდღიურმა გაზეთმა „ვეჩერნი თბილისმა“. გაზეთი იბეჭდება „პრავდის“ ნახევარი ფორმატის ოთხ გვერდზე. გაზეთის 20 და 21 მაისის ნომრებში მოთავსებულია მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა ჩვენი დედაქალაქის წარმოება-დაწესებულებათა ცხოვრებიდან.

ვუსურვოთ ახალ გაზეთს მის წინაშე მდგომი სერიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელება.

რესპუბლიკური ჩემპიონატი ჭადრაკში

20 მაისს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა საქართველოს პირველობის გათამაშების მერვე ტური ჭადრაკში.

ოსტატმა გურგენიძემ ძლიერად ჩაატარა პარტია მორჩილაძესთან და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. შიშოვმა მოუგო მაჭავარიანს, ლოლუამ — ლომაიას, კალატოზიშვილმა — ბრეიტმანს, ბუსლაევმა — კასპარიანს, რაზოვსკიმ — დემურიას. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

რვა ტურის შემდეგ ლიდერები არიან ბლაგიძე და ბუსლაევი, რომლებსაც ხუთ-ნახევარ-ხუთნახევარი ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

23 მაისს დღის 3 საათზე საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის საალქაო დარბაზში (ლენინის ქუჩა № 35) გაიხსნება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა თბილისის მეორე საქალაქო კონფერენცია.

დელეგატების რეგისტრაცია ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე; 23 მაისს — დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე (ლენინის ქ. № 35, მეორე სართული).

საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების გამგეობა.

რედაქტორი პ. რატიანი.

მდგომარეობა საფრანგეთში

პარიზი, 20 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, დე გოლის გუშინდელი პრეს-კონფერენციის შემდეგ ალჟირში სამხედრო ფაშისტური შეთქმულების მონაწილეებმა არ დააყოვნეს გაეგზავნათ მისთვის დეპეშა, რომელშიც „მადლობას“ უხდიან მას. ალჟირში მოეწყო ახალი მანიფესტაცია „ლუზუნგით „ხელისუფლება დე გოლს!“

იუწყება რა ალჟირელ მეამბოხეთა ასეთი გამოხმაურების შესახებ, გაზეთი „ლუმანიტე“ დღეს აღნიშნავს, რომ დე გოლი „დგას ამბოხების ცენტრში. მისმა დამჭაშებმა, როგორიც არიან სუსტელი, დელბეკი, დრონი აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეთქმულებაში. ისინი ჩავიდნენ ალჟირში, რათა გაეფართოებინათ ამბოხება და ეცადათ მისი გავრცელება მეტროპოლიაზე“.

გაზეთი აყენებს კითხვას: „რას უცდის მთავრობა, რათა გააკეთოს მთელი დასკვნები ამ ვითარებიდან და გამოიყენოს საგანგებო წესების კანონი იმათ მიმართ, ვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა რესპუბლიკური ინსტიტუტების წინააღმდეგ, თვით საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულებისათვის?“

საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

გულგარეთის სოფელი დღეს

„იცნობთ ახლა ჩემს ქვეყანას?“ ამახ წინათ ახალი სათაურით ბულგარეთში გამოიცა ახალგაზრდა პოეტის ლექსების კრებული. წიგნის ავტორი კითხვით მიმართავს ყველას, ვისაც კი მრავალი წლის წინათ უხახავს მისი ქვეყანა, შეძლებენ განა იცნონ იგი ახლა? ვერა, ვერარ იცნობენ! სახალხო ხელისუფლების წლებში ბულგარელი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი ცვლილებები მოხდა. ეს გარდაქმნები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში განხორციელდა.

განსაკუთრებით ეს ითქმის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შესახებ. ნაყოფიერია ბულგარეთის მიწა. ყველა პირობაა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მაგრამ ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ბულგარეთი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვითარების მხრივ მეტად ჩამორჩენილ ქვეყნად ითვლებოდა. სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდეგ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მკვეთრად იცვალა სახე.

ბულგარეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შედეგად სოფლის მეურნეობაში სწრაფად დაინერგა თანამედროვე უახლესი ტექნიკა. რესპუბლიკაში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობამ.

კოოპერაციული წყობა საბოლოოდ დამკვიდრდა ბულგარეთის სოფელში. ამჟამად 90 პროცენტზე მეტი გლეხური კომლი გაერთიანებულია შრომითს კოოპერაციულ სამიწათმოქმედო მეურნეობებში. მათ განკარგულებაშია დასამუშავებელი მიწის 90 პროცენტზე მეტი. ღარიბმა და საშუალო გლეხობამ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი წვრილსასაქონლო ერთპიროვნულ მეურნეობასთან და დაადგა კოოპერაციის გზას.

კოოპერაციულ მეურნეობებს ამჟამად ემსახურება 200 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. მტს-ების გამომუშავება (რბილ ხვნაზე გადაყვანით) შეადგენს 100 მილიონ დეკარს (დეკარი უდრის 0,1 ჰექტარს). ახლა კოოპერატივების მიწის ხავარგულებზე მუშაობს 26.300 ტრაქტორი, 4.300-ზე მეტი კომბაინი და ათასობით სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. ხოლო მესამე ხუთწლედში, რომლის განხორციელება მომდინარე წელს დაიწყო, რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა პარკი ორჯერ და უფრო მეტად გაიზრდება.

პარტია და მთავრობა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობენ კვალიფიციური კადრების მომზადებას. ტექნიკუმებმა, სასოფლო-სამეურნეო სკოლებმა შრომითს კოოპერაციულ სამიწათმოქმედო მეურნეობათა ხელმძღვანელი მუშაკების სკოლებმა, ინსტიტუტებმა უკვე მოამზადეს და გამოუშვეს 55.798 სპეციალისტი.

განუწყვეტლივ იზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება. თუ 1929-1944 წლებში საშუალოდ ჰექტარზე ძირითადი მარცვლეული კულტურის — ხორბლის საშუალო მოსავალი 980 კილოგრამი იყო, სიმინდისა — 940 კილოგრამი და ბამბისა — 150 კილოგრამი, 1956 წელს ხორბლის საშუალო მოსავალი შეადგენდა 1.320 კილოგრამს, სიმინდისა — 1.610 კილოგრამს და ბამბისა — 490 კილოგრამს.

დიდი მიღწევებია სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის — მეცხოველეობის განვითარებაში. მარტო ის ფაქტი, რომ 1939 წელთან შედარებით რძის წარმოება გაიზარდა 75 პროცენტით, ხოლო მატყლისა 32 პროცენტით, ნათლად მეტყველებს ამ დარგის მძლავრ აღმავლობაზე.

მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების განუწყვეტლივ ზრდასთან ერთად მაღლდება კოოპერატივების და მთავრობის ბოლოდროინდელ დადგენილებათა შესაბამისად, ამ ორ დარგში ადამიანთა ერთობლივ შრომა-ენერგიის ეფექტიანობა. ეს ეფექტიანობა ნაკლებ ადგილებში ჯერ ისევ ნაკლებია, ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა ამჟამად ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ბულგარეთის ეკონომიკურ-ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებათა სისტემაში.

აღმავლობის გზით

სახალხო ხელისუფლების წლებში ჩეხოსლოვაკია მრეწველობის მხრივ ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყნად იქცა.

მრეწველობის გარდაქმნამ მძიმე ინდუსტრიის უპირატესად ზრდის ბაზაზე და წარმოების საშუალებათა წარმოებამ უზრუნველყო რესპუბლიკის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ძირითადი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა. რესპუბლიკის მრეწველობის წარმატებებზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ერთ სულ მოსახლეზე მთელ რიგ მნიშვნელოვან სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ მან უკვე გაუსწრო იტალიას, საფრანგეთს, დასავლეთ გერმანიას, შვეიცარიას, ბელგიას.

იყენებდა რა საბჭოთა კავშირის ტექნიკურ-ეკონომიურ დახმარებას, ჩეხოსლოვაკმა ხალხმა გადალახა ყველა სიძნელე, წარმატებით განახორციელა პირველი ხუთწლედის დავალება, რის შედეგადაც სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ხუთი წლის განძილზე გაორკეცდა, წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითმა წონამ 62,3 პროცენტს მიაღწია. მანქანათმშენებლობა ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის წამყვანი დარგი გახდა, მისი პროდუქცია სამკერ და მეტად გაიზარდა. მნიშვნელოვნად განვითარდა და განმტკიცდა საკუთარი ნედლეულისა და ენერგეტიკის ბაზა. ჩარხების წარმოების მხრივ ჩეხოსლოვაკია მსოფლიოში მეხუთე ადგილზე გამოვიდა. ერთ სულ მოსახლეზე ლითონსაჭრელი ჩარხებისა და საგლინავი მოწყობილობის გამოშვების მხრივ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს მიუახლოვდა, ხოლო ქიმიური მრეწველობის მოწყობილობათა დამზადების მხრივ — დასავლეთ გერმანიას.

1950 წელს ჩეხოსლოვაკიამ ფოლადის წარმოების მხრივ გაუსწრო კანადას, 1953 წელს ქვანახშირის მოპოვებით საფრანგეთს, ერთ სულ მოსახლეზე თუჯის წარმოების მხრივ ახლა ჩეხოსლოვაკია მსოფლიოში მერვე ადგილზეა, ხოლო ფოლადის გამოდნობის მხრივ — მეშვიდეზე.

საერთო პროდუქციის გამოშვების 1957 წლის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ 102,3 პროცენტით შეასრულა. 1956 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა 10,2 პროცენტით გაიზარდა.

ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია განსაკუთრებით მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ამიტომ ჩეხოსლოვაკური მარკის სამრეწველო პროდუქციამ მსოფლიოში გაითქვა სახელი.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარებამ დაადასტურა, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესად განვითარება ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ ზრდას.



სურათზე: ჩირპანის (ბულგარეთი) ქარხნის „მომავლის“ საამწყობო საამქროს უფროსი ივანე გეორგიევი და კონტროლიორი ვასილ პანჩევი იღებენ მზა პროდუქციის მორიგ პარტიას — „КРН-2,8“ მარკის კულტივატორებს.

Г. ქვრივიშვილი.

ტელეგადაცემათა პროგრამა

22 მაისისათვის

19.30 — ყველაზე პატარებისათვის ნახატი ფილმი — „შემთხვევა საბავშვო ბაღში“, 19.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი „მომგებიანი ბილეთი“, 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — მხატვრული ფილმი „ეკატერინე ვორონინა“.

ДЕЛО ТБИЛИСИСКИХ ТЕАТРОВ

ოპერისა და ბალეტის — რიგოლეტო (მე-2 ად. მე-7 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ახალგაზრდა მასწავლებელი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ხეები ზეზეულად კვდებიან, **გრიბოედოვის სახელობის** — მგზნებარე მეოცნებე, **სომხური დრამის** — ფარჰად და შირინი, **მუსიკალური კომედიის** — კომბლე (8 ს. 30 წ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სომბრერო (4 ს., ად. № 41), **შავი ბიჭი** (7 ს., ად. № 33), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ზღაპარი ზღაპარზე (1 ს.), **უეცარი სიმდიდრე** (6 ს.), **თოჯინების ქართული** — ბოფანგში (11 ს.), **კონსერვატორიის მცირე დარბაზი** — საქართველოს ხელოვნების ჩვენება ფესტივალზე — „ამიერკავკასიის გაზაფხული“ (11 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — სიმფონიური კონცერტი, მიძღვნილი ფესტივალისადმი — „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული“ (9 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო თეატრი** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი (9 ს.).

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას წარმოებისაგან მოწყვეტით 1958-59 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები, ტოპოლოგია, რიცხვთა თეორია, გამოთვლითი მათემატიკა, თეორიული მექანიკა, თეორიული ფიზიკა, მყარი ტანის ფიზიკა, რადიოფიზიკა, დაბალი ტემპერატურების ფიზიკა, კოსმოსური სხივებისა და ბირთვული პროცესების ფიზიკა, გეოფიზიკა, ანალიზური ქიმია, ფიზიკური ქიმია, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, ახალი და უახლესი დროის ისტორია, პედაგოგიკა, კავკასიური ენები, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ქართული ენა, რუსული ენა, რუსული და საბჭოთა ლიტერატურის ისტორია, პოლიტეკონომია, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, შრომის სამართალი.

გარდა ამისა, მიღება იწარმოებს ასპირანტურაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ შემდეგ სპეციალობებზე:

ჰიდროგრომექანიკა, მათემატიკის სწავლების მეთოდიკა, მათემატიკური ანალიზი, თეორიული ფიზიკა, მყარი ტანის ფიზიკა, რადიოფიზიკა, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია, ჰისტოლოგია, რუსული ენა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ახალი ქართული ენა, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან სსრკ მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, ხოლო ასპირანტურაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ არაუმეტეს 45 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამოამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილით სამეცნიერო, პედაგოგიური ან წარმოებაში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

ის პ